საერთო გაზეთი

№11 (469) • 28 მარტი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„ულმერთოთა კავშირი“

ანუ ნიკა გვარამია „რუსთავი-2“-ის ბაზაზე ახალ რელიგიურ მიმდინარეობას აფუძნებს?

ნინო ჯანგირაშვილი – გვარამიაზე უფრო დიდი გვარამია!

„რუსთავი-2“-ის პარტიულ-კომკავშირული აქტივის სხდომაზე, სადაც მოწვეულ ამხანაგებთან ერთად ამხანაგ გაბუნიას პარტიული გადაცდომის საკითხი იხილებოდა, ძალზე მწვავე და კრიტიკული სიტყვით გამოვიდა გამოცდილი პარტმუშაკი, ამხანაგი ნინო ჯანგირაშვილი, რომელმაც მკაცრად დაგმო ამხანაგ გაბუნიას საქციელი და გაბუნიას „ნაცმოძრაობის“ ცეკას მდივანი იდეოლოგიურ დარგში, ამხანაგი გვარამიაც ზედ მიაყოლა.

სხდომა, რომელიც ძალიან ჰგავდა „ულმერთოთა კავშირის“ (იყო ასეთი ორგანიზაცია გასული საუკუნის 30-იან წლებში, რომელსაც ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბაბუა მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა) სხდომას, დაიძაბა.

სახუმარო საქმე ხომ არ იყო, პარტიულ ბრძოლებში გამობრძმედილ და ათას ბარიკადზე გადამხტარ ამხანაგ გვარამიას ღიად და საჯაროდ აკრიტიკებდნენ და შენიშვნას აძლევდნენ.

ამხანაგი გვარამია, რომელიც ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო ემსგავსება ნასოსით გაბერილ ოფოფს, დაბღვერილი და ბრაზისგან გაფუყული უსმენდა ამხანაგი ჯანგირაშვილის უცერემონიო გამოსვლას.

ამხანაგი ნინო, მართალია, იწონებდა „რუსთავი-2“-ის პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომლითაც ამხანაგ გაბუნიას საყვედური გამოეცხადა პირად საქმეში შეტანით, თუმცა იქვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ამხანაგმა გვარამიამ ბოდიში მოუხადა ყველას, ვინც გაბუნიას სიტყვები რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად აღიქვა.

— გაბუნიას ტექსტი მეც არ მომეწონა და ისიც კი ვიფიქრე, რას ბოდავს ეს ბიჭი-მეთქი, მაგრამ თქვენს მიერ ბოდიშის მოხდაც უადგილო და ზედმეტი მეჩვენაო, — ფოლადისებრი ხმით განაცხადა ამხანაგმა ნინომ, რომელიც იმ წუთას რაღაცით ჰგავდა კაპლანის ქალს, რომელმაც ლენინს ესროლა.

მართალია, გვარამია მთლად ლენინამდე ვერ ქაჩავს, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ პოლიტბიუროს შემადგენლობაში უმნიშვნელო პოსტიც არ უჭირავს, რომ ასე ღიად და საჯაროდ ვიღაც ჯანგირაშვილმა „გატრუპოს“.

თუმცა ჯანგირაშვილი სულაც არ არის ვიღაც...

ამხანაგი ჯანგირაშვილი ის ადამიანია, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ, თავის პარტიულ ობიექტზე, „კავკასიაზე“, თავის თანამეცხედრე აქუსთან ერთად, რვა ქართველი ახალგაზრდა ისე გაიმეტა საცინედ, შუბლის ძარღვი არ შეტოკებია.

თემა მაშინაც იგივე იყო, რასაც ახლა „ქართული მარშის“ წევრები აპროტესტებდნენ.

ის კი არა, ეს ორი ინციდენტი დეტალებშიც კი ჰგავს ერთმანეთს — მაშინაც მთვრალ აქუს მოარტყა ვიღაცამ ცხვირში მუშტი, „რუსთავი-2“-ის ინციდენტშიც ერთი მუშტმორტყმული ცხვირიღა ფიგურირებს ნივთმტკიცებად.

ამხანაგ ჯანგირაშვილს თავისი წარსულის ეს სასახელო მომენტი არ უხსენებია ხმამაღლა, როცა გვარამიას ბოდიშის მოხდის გამო კიცხავდა, თუმცა ხსენება რად უნდოდა, ისედაც ცხადი იყო, რაზეც მიანიშნებდა იგი კოლეგას.

— რა ბოდიშებს იხდი, შე კაცო, აიღე და დააჭერინე ეს თავხედებიო, — ასეთი იყო ჯანგირაშვილის რეპლიკის ქვეტექსტი.

გვარამიას კი, როცა ამ სიტყვებს მორჩილად ისმენდა, პირდაპირ სახეზე ეწერა: — შენ მასწავლი, ქალო, მე, ნიკა გვარამიას, ვინ, როდის და როგორ დავიჭირო?

აქვე ისიც გვინდა დავამატოთ, რომ ადვილზე ადვილი შესამჩნევია, თუ როგორი თავგამოდებით ცდილობს ბოლო ხანებში ამხანაგი ჯანგირაშვილი გვარამიაზე და კიდევ სხვა გვარამიებზე უფრო დიდი გვარამია გამოჩნდეს.

როგორც იტყვიან, ტყავიდან ძვრება ამხანაგი ჯანგირაშვილი, საკუთარი პერსონა დემოკრატიისთვის, სიტყვის თავისუფლებისთვის, სამართლიანობისთვის მებრძოლ, უკომპრომისო და თავგანწირულ პიროვნებად წარმოაჩინოს.

ძნელი მისახვედრი არ არის, ვის აწონებს თავს და ვის უგზავნის დაშიფრულ მესიჯებს ჯანგირაშვილი.

ისიც ადვილად ამოსაცნობია, რა რჯის და რა მიზნით აკეთებს ამას ამხანაგი ნინო — ფული უნდა, დაფინანსება უნდა!

— მარტო „კავკასია“ აღმოჩნდა ისეთი ტელევიზია, რომელსაც დაფინანსების სხვა წყარო, გარდა სარეკლამო შემოსავლებისა, ვერ უპოვეს, — ამაყად აცხადებს პატიოსანი ნინო, თუმცა ის სარეკლამო შემოსავლები, რაც „კავკასიას“ აქვს, შეიძლება ერთი მომცრო დუქნის ხარჯებს ეყოს,

2 გვ.

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

„ულმერთოთა კავშირი“ ანუ ნიკა გვარამია „რუსთავი-2“-ის ბაზაზე ახალ რელიგიურ მიმდინარეობას აფუძნებს?

← 7 გვ.

მაგრამ ტელეკომპანიის შესანახად რამდენად არის საკმარისი, საკითხავია.

ახლა კი გიორგი გაბუნიას ის ტექსტი გავიხსენოთ, რასაც მთელი ეს დავიდარაბა მოჰყვა.

„მე ვფიქრობ, რომ იესო ქრისტემ საშინელი შეცდომა დაუშვა, როდესაც 2000 წლის წინ ისრაელში მოვიდა. უნდა მოსულიყო აჭარაში და ჯვარზე კი ველარ გააკრავდნენ, იმიტომ, რომ ხე აღარ იქნებოდა დარჩენილი და ამ დროისთვის ბიძინას ეზოში იქნებოდა გადატანილი ყველა ხე. ასე იცოცხლებდა იესო ღრმა სიბერემდე, მთავარია, სადმე ბიძინასთვის არ გადაეკვეთა გზა, ან უარესი — მის ეზოში არ დაეწყო ქადაგება, თორემ იგივენაირად დაასრულებდა, როგორც 2000 წლის წინ, ან უარესად“.

როგორც ნიკა გვარამიამ საზოგადოებას განუცხადა, „რუსთავი-2“-ის ეთიკის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას გამოეცხადოს საყვედური, რამეთუ მის მიერ აზრის გამოხატვა ლახავდა ქრისტიან მორწმუნეთა პირად რელიგიურ გრძნობებს.

„ამ მორწმუნეებში არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვინც დღეს აქ იყვნენ. ეს ადამიანები ჩვენს მიერ არ განიხილებიან ქრისტიანებად. არც ერთი მოძალადე არ განიხილება ჩვენს მიერ ქრისტეს მიმდევრად“.

კი, მაგრამ, ჩვენ არ განვიხილავთო, რომ ამბობთ, თქვენ ვინ ხართ, ამხანაგო გვარამია, და რა სტატუსით განიხილავთ ზოგს ქრისტიანად და ზოგს არაქრისტიანად?

მკაცრი და აკადემიური იყო იმ ოფიციალური განცხადების ტონი, რომელიც „რუსთავი-2“-მა გააკეთა გაბუნიას განცხადებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს ტონი რადიკალურად შეიცვალა იმ „სხადნიაკზე“, სადაც გაბუნიას საქმე გაურჩიეს.

„სხადნიაკის“ მონაწილეებმა და, მათ შორის, ნიკა გვარმიამაც გაბუნიას მთავარ ცოდვად ის კი არ ჩაუთვალეს, რომ მან აღმაშფოთებელი ცინიზმით და უტიფრობით მოიხსენია იესო ქრისტეს სახელი, არამედ ის, რომ გაბუნიას იუმორის ნიჭი არ აქვს თურმე და ხანდახან უკბილოდ ხუმრობს.

მერედა, არ გრცხვენიათ, თქვე მართლა ულმერთოებო, კაცს სხვა თუ არაფერი დაუშავებია, მხოლოდ იმის გამო აჰკიდეთ საყვედური, რომ იუმორის გრძნობა არ აქვს?

იუმორის გრძნობა კი არა, სინდისი არა აქვს გაბუნიას და ეს არის მისი უტიფრობის მთავარი მიზეზი.

არა მარტო გაბუნიას, სინდისი არ აქვს ნიკა გვარამიასაც.

ეს ორი უსინდისო ტიპიური ფარისევლები, ტიპიური სატანისტები არიან, რომლებიც თავიანთ თანამოაზრეებთან ერთად, თავგამოდებულნი ცდილობენ, საქართველოს გამოაცალონ ის საყრდენი, რომელზეც ეს ქვეყანა დგას.

„რუსთავი-2“-ის და მისი გენდირექტორის ბოლოდროინდელ მეტამორფოზებს რომ ვაკვირდები, სულ არ გამიკვირდება, ერთ მშვენიერ დღეს ნიკა გვარამია ანაფორაში გადაცმული რომ გამოგვეცხადოს, თავზე სკიპტრით, მკერდზე ჯვრით, როგორც უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირი და მრევლის გადახარისხება რომ დაიწყოს ქრისტიანებად და არაქრისტიანებად.

თუ ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, გაბუნიაც გვერდით ეყოლება დიაკვნის რანგში, კვესიტაძე კი სათნოების განმასახიერებელ დედაოდ მოგვევლინება.

ისეთი დონის აფერისტები და ფარისევლები არიან ესენი, ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

„გირჩის“ კვალდაკვალ, როგორც ჩანს, ნიკა გვარამიაც „რუსთავი-2“ის ბაზაზე ახალ „რელიგიას“ ქმნის, ულმერთოების, ფარისევლების, უსინდისოების, ყველაფრის მკადრებლების „რელიგიას“, რომლის მთავარი მიზანი ახალი ადამიანის შექმნაა.

ნიკა გვარამია ქართველი ტროცკია, ქართველი ლეიბა ბრონშტეინია, ხოლო მისი ბელადი სააკაშვილი სიმაღლეში გაზრდილი ლენინი, რომელსაც არც დაუმალავს, რომ ახალი ჯიშის ქართველის გამოყვანას აპირებდა თავის ლაბორატორიაში, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ერქვა.

ქართველი ერის ტრაგედია ის არის, რომ სააკაშვილი კი წავიდა ქვეყნიდან, მაგრამ ლაბორატორია, თავისი მომსახურე პერსონალით, ხელუხლებელი დარჩა.

სამწუხაროა, რომ ვერა და ვერ მოხერხდა ამ სიკვდილის ლაბორატორიის დემონტაჟი. ის დღემდე მთელი სიმძლავრით მუშაობს და ძველებურად ემსახურება ადამიანების ტვინების გამორეცხვას.

31 მარტი – ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა!

დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას!

სრულიად საქართველოს კი ვულოცავთ რეფერენდუმის ჩატარების 27-ე წლისთავს!

სამშობლოსთვის თავდადებულო, ჩვენო ღირსეულო პრეზიდენტო! ახლოვდება დღე, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მის შემადგენლობაში შემავალ მსოფლიო ქვეყნებს გამარჯვებულნი ამაყად წარვუდგენთ კანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკა მათ მიერ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად იქნა აღიარებული.

ბატონო პრეზიდენტო, სამშობლოს სიყვარულის გამო უმძიმესი დღეების გაძლება გარგუნათ ბედმა. ღრმად გვწამს, რომ საქართველო დაიბრუნებს ძველ დიდებას და საქართველოს მტერთა მიერ გადამწვარ კოლხურ კოშკში ისევ ჩამორეკენ გამარჯვების ზარები.

ჩვენ კარგად ვუწყით სიყვარულის, სიკეთის, სილამაზის, სიცოცხლის, უკომპრომისო ბრძოლისა და სამშობლოსთვის თავგანწირვის ფასი.

26 წელზე მეტია თან დაგვყვება თქვენი შეურყეველი რწმენა — „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“. აკი, არც შეგვიწყვეტია და კვლავაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძვით, თავს არ ვზოგავთ ჩვენი სამშობლოს დასახსნელად. თქვენი მოწამეობრივი ცხოვრება მაგალითია სამშობლოსადმი თავდადებისა. თქვენი ლოცვა-კურთხევა დაგვყვება წინაალმგეგობებით აღსავსე ამ ეკლიან გზაზე...

გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას მამულის გადასარჩენად!
საქართველოს აღდგომა და ივერიის გაბრწყინება გარდაუვალია!

ჩვენო პრეზიდენტო! ნება გვიბოძეთ ქალბატონ თინათინ მღვდლიაშვილის თქვენდამი უაღრესად პატრიოტული, სიყვარულით აღსავსე ლექსი დავურთოთ ჩვენს მილოცვას:

და გათენდება დილა დიდი აღსარებისა...

ზვიად გამსახურდიას

„მოწამებრივი განვლილია გზა ეკლიანი,
დიდ მოწამეთა ხართ მემკვიდრე ივერთ პატრონო!
ლოცვად დამდგარა ერი შენი, ნათელმოსილი,
ზვიად ბატონო!

ჩახერგილია ყველა გზა და ყველა გზაწვრილი
დაცემის ჟამმა გაუძლისი მსხვერპლი ინება...
გელათში, ალბათ, გადაბრუნდა მეფე დავითი,
საქართველოში ქართველთათვის ვინც რომ იმეფა!

შემორღვევია მზის საბადოს რკინის კარები
და ღვთის საყდარში სანთელს ანთებს თავად ბარაბა!..
სვეტიცხოვლიდან სიონამდე დედო ზარები
ეშმამ გაკაფა!..

ოოო, დიდ დაცემას მოსდევს ჟამი ამაღლებისა
და ღვთის სანთელში გაეხვევა მთელი სამყარო...
ღვინო წყლად ექცეს, ვაზი — თივად, მიწა — საკვებად,
ვინც რომ გაგვყაროს!

და გათენდება დილა დიდი აღსარებისა,
და გაბრწყინდება ივერია — ჩვენი სამშობლო!
დაგელოდება ერი შენი ნათელმოსილი,
ზვიად ბატონო!

„კავკასიის ეროვნულ-განმათავისუბლებელი მოძრაობის“ მებრძოლთა სახელით სამშობლოდან სიმართლისთვის, პრეზიდენტის ერთგულებისა და საქართველოს სიყვარულისთვის განდევნილნი **გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური, ლევან ზაალიშვილი, ლაშა გამსახურდია, მართა სავანელი, სალომე მწითური, დავით ჯანდიერი, სანდრო მარიამიძე.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაკალ-დასაკალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სოციალური დახმარების არსებული მოდელი – ყულფი, რომელიც სახელმწიფოს მოახრჩობს

2006 წელს საქართველოში სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რომლის მთავარი მიზანი ქვეყანაში სიღარიბის შემცირება გახლდათ. პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა: ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ პროგრამა სიღარიბის დაძლევის კი არა, საარჩევნო ხმების მობილიზაციისთვის შეიქმნა, მეორე ნაწილი შეფასების სისტემას უსამართლობაზე საუბრობს, მესამე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ პროგრამა ერის გაზარმაცებას და სახელმწიფო ბიუჯეტის განიავებას იწვევს.

რატომ არის აუცილებელი სოციალური დახმარების არსებული მოდელის შეცვლა, ამაზე დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძე გვიამბობს:

– დავიწყებ იმით, რომ თავის დროზე, სააკაშვილის ხელისუფლებამ სოციალური დახმარების პროექტი პოლიტიკური მიზნებისთვის შემოიტანა, რადგან ეს მათთვის ხალხზე მანიპულირების ძლიერი ბერკეტი იყო. იმ დროისთვის, ქვეყანაში დაახლოებით 700 000 პენსიონერი იყო და სოციალურად დაუცველთა რაოდენობას თუ დაამატებდნენ, საარჩევნო ხმები გარანტირებული ჰქონდათ. არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სტატუსს ძირითადად, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერები იღებდნენ. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. აღმაშენებლის გამზირზე, იტალიურ ეზოში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის ოჯახი სამ ბინას ფლობდა. აქედან ორი გაქირავებული ჰქონდათ და თვითონ სარდაფში ცხოვრობდნენ. ასეთ ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი მიანიჭეს, როცა იმავე სახლში მცხოვრებ, ოპოზიციურად განწყობილ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს სტატუსი არ აღირსეს. სოციალური დახმარებები პოლიტიკური მხარდაჭერისთვის დაწესებული საჩუქარი იყო და არავის ანაღვლებდა, რომ ბიუჯეტს, საიდანაც დახმარებები გაიცემა, ხელისუფლების მხარდაჭერი თუ ოპოზიციაში მყოფი ერთნაირად ავსებს. ეს სრული სიმახინჯე იყო და საბედნიეროდ, ასე აღარ ხდება. წარსულის ცუდი გამოცდილების გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც იგივეს ელოდნენ და ასე რომ არ მოხდა, ხელისუფლებას გაუნაწყენდნენ.

– სოციალური დახმარებების თემაზე ხელისუფლებასთან მხოლოდ მხარდამჭერებს კი არა, ნაციონალური მოძრაობის მომხრეებსაც პრეტენზიები აქვთ.

– ხელისუფლების მხარდამჭერი იქნება თუ ნაციონალური მოძრაობის, უსამართლოდ მინიჭებული სტატუსი ყველას უნდა მოეხსნას. ვაღიარებ, რომ ზოგიერთს სტატუსი უსამართლოდ მოუხსნეს, მაგრამ აღუდგინეს ან აღდგენას ელოდებიან. სტატუსის მინიჭება თუ მოხსნა ცალკე თემაა, თუმცა, ამჯერად მინდა თავად პროექტზე გიამბოთ. განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში, სადაც ანალოგიური პროექტები მოქმედებს, ეს დროებითი ღონისძიება გახლავთ. სოციალურად დაუცველის სტატუსს 5, 10 და 15 წლით კი არა, ხანმოკლე ვადით ანიჭებენ და შემდეგ ამ ადამიანის დასაქმებაზე სახელმწიფო ზრუნავს. წარმოიდგინეთ, ძალიან ძლიერი სახელმწიფოებიც კი ბიუჯეტის ყველა კაპიკს უფრთხილდებიან და თანხას ისე არ გასცემენ, რომ უკუგება არ მიიღონ. საქართველოში რა ხდება? 2013 წელს, სოციალური დახმარებების გაზრდას სოციალურად დაუცველთა რაოდენობა მკვეთრი ზრდა მოჰყვა. რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ ზოგიერთი ჯანმრთელი და შრომისუნარიანი ადამიანი დახმარების მოხსნის შიშით არ მუშაობს. ამჟამად, თითქმის ნახევარი მილიონი სოციალურად დაუცველი ადამიანი გვყავს და კიდევ ერთი ამდენი სტატუსს ითხოვს. გამოდის, რომ ნახევარი მილიონი არ მუშაობს იმიტომ, რომ სოციალური დახმარება არ მოეხსნას და კიდევ ნახევარი მილიონი არ მუშაობს იმიტომ, რომ სტატუსი მიიღოს და შესაბამისი განცხადება დაწერილი აქვს.

— თუ სწორად გავიგე, სამუშაო ადგილები არის, მაგრამ ადამიანები მუშაობას თავს სოციალური შემწეობის გამო არიდებენ..

– მე არ ვამბობ, რომ ქვეყანაში გაჭირვება და პრობლემები არ არის, მაგრამ რაღაც ვაკანსიები მაინც არსებობს. სამი წელია, ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტი ძირითადად, სოციალურად დაუცველებისთვის დასაქმების ფორუმს ატარებს, სადაც ვაკანსიებს აცხადებენ. საუბარი არ არის მაღალანაზღაურებად სამსახურებზე. ძირითადად, 300-დან 600 ლარამდე, ზოგჯერ კი 700 ლარიანი ვაკანსიებია. ორი წლის წინ, ფორუმზე 9000-მდე ვაკანსია გამოცხადდა, მაგრამ მხოლოდ 540 სამუშაოს მაძიებელი მივიდა და აქედან 112 დასაქმდა. წარმოიდგინეთ, 9000-მდე ვაკანსია იყო და მხოლოდ 112 ადამიანი დასაქმდა. სამწუხაროდ, ამ პროექტმა ხალხი ისე გააზარმაცა, რომ მუშაობის სურვილი აღარ აქვთ. ვიმეორებ, ყველას არ ეხება, მაგრამ ბევრს მუშაობას სახელმწიფოსგან მიღებული გარანტირებული შემოსავალი ურჩევნია. პირადად გადავამოწმე და დავრწმუნდი, რომ სოციალურად დაუცველების ნახევარზე მეტი შეფარულად მუშაობს და მათი შემოსავლები არსად აისახება. მოგეხსენებათ, რომ თუ ანგარიშზე დარიცხვები ექნებათ, შემწეობას დაკარგავენ, ხელზე გაცემულ თანხას კი ვერავინ აკონტროლებს. იცით, რაიონებში რა ხდება? ახალი კრიტერიუმების მიხედვით, თუ ოჯახს ჰექტრობით მიწის ნაკვეთი აქვს, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ ეკუთვნის, მაგრამ ბევრმა აქაც გამოსავალი ნახა — ვითომ მიწა გაყიდა, სინამდვილეში ნათესავებზე გადააფორმა და დღემდე სოციალურ დახმარებას იღებს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო უამრავ პროექტს ახორციელებს, ოთხი წელი ხვნა-თესვა საერთოდ უფასო იყო, მაგრამ ასეთებს სურვილი არ აქვთ, რომ მიწა დაამუშაონ და მოსავალი მოიწიონ. ურჩევნიათ, ისევ სახელმწიფოს მიადგნენ, სტატუსი მჭირდება და დამეხმარეო. სახელმწიფო ასეთ მდგომარეობას დიდხანს ვეღარ გაუძლებს. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ერის დაბერების პროცესი ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

– იქნებ განგვიმარტოთ, ერის დაბერების პროცესი სოციალური დახმარებების მოცულობასთან რა კავშირშია?

– ერის დაბერება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდას ნიშნავს, რაც ძალიან კარგია და ჯანდაცვის პროექტების დამსახურება გახლავთ. ერის დაბერება ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოხუცებულთა რაოდენობა ბავშვების რაოდენობას რამდენჯერმე აჭარბებს. წარმოიდგინეთ, 60-იანი წლების საქართველოში ბავშვების რაოდენობა 700 000-ით აჭარბებდა მოხუცებულთა რაოდენობას, დღეს კი მოხუცებულთა რაოდენობა ბავშვებისას 120 000-ით აჭარბებს. სულ რაღაც 10–15 წლის

წადში ხანდაზმულთა რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 33% გახდება, რადგან 60-იან წლებში დაბადებული მილიონნახევარი ადამიანი საპენსიო ასაკს მიაღწევს. ერის დაბერებამ ისეთ განვითარებულ ქვეყანასაც კი შეუქმნა პრობლემები, როგორიც იაპონიაა და ბუნებრივია, საქართველოსაც პრობლემებს შეუქმნის. შობადობის კლების ფონზე, ქვეყნიდან გადის მწარმოებელი ფენა, რომელიც პროდუქტს ქმნის და ბიუჯეტში ფული შეაქვს. ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელსაც მოხუცები და ბავშვებიც შესანახი ჰყავს, მილიარდობით ლარი სოციალურ დახმარებებში გაედინება. გამოდის, რომ სახელმწიფო მუდმივად გასცემს და ძალიან ცოტას იღებს, რადგან ქვეყანაში მწარმოებელი ფენა ცოტა დარჩა. ასეთ დარტყმას ვერც ერთი, თუნდაც ძალიან ძლიერი ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაუძლებს და ხერხემალში გადატყდება.

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო, რომ სოციალური დახმარების დღეს არსებული მოდელი უფრო ეფექტური მოდელით შეიცვალოს?

— ჩემი აზრით, სოციალურად დაუცველის სტატუსის პროექტი მთლიანად მიზნობრივ პროექტებზე უნდა გადაეწყოს. ქვეყანა უდიდესი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას და ჩვენ კაპიკებს ვეძებთ, რომ მრავალშვილიანებს დავეხმაროთ და შობადობა წავახალისოთ. დაფინანსდა რაღაც ინიციატივები და გარკვეული წინსვლა გვაქვს, მაგრამ მაინც უამრავი პრობლემაა. ამიტომ ვამბობ, რომ უნდა გაიზარდოს საბაზისო პენსია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება, სათანადოდ დაფინანსდეს დემოგრაფიული ინიციატივები და ა.შ. ხოლო სოციალური დახმარებები საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად, მხოლოდ მოხუცებს და არაქმედითუნარიანებს უნდა დაუტოვონ. მოსახლეობის საპროტესტო ტალღის ყველა ხელისუფლებას ეშინია, მაგრამ ეს ყველაფერი სახელმწიფოს აზიანებს. არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად დღეს ან ხვალ უნდა მოხდეს, მაგრამ შეიძლება გარდამავალი ეტაპი მომზადდეს, რომ სახელმწიფომ მოქალაქეს ვაკანსია შესთავაზოს. დასაქმება ნებაყოფლობითი კი არა, სავალდებულო უნდა იყოს, როგორც ყველა ქვეყანაშია.

– სოციალურად დაუცველს სტატუსი დასაქმებისთანავე შეუწყდება?

– დასაქმების შემთხვევაში, სოციალურად დაუცველს სტატუსი და შესაბამისად, შემწეობა რამდენიმე თვე უნარჩუნდება. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, დღეს მოქმედ პროექტს სხვა ნეგატიური მხარეებიც აქვს. შემწეობის მოხსნის შიშით, ხალხს სახლში ტელევიზორი და კომპიუტერი არ ჰქონდა. მსოფლიო ვითარდება და ჩვენთან ბავშვებს ტელევიზორი და კომპიუტერი არ ჰქონდათ ნანახი.

– როგორც ვიცი, 2015 წლიდან ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა სარეიტინგო ქულების გამოსათვლელად ახალი მეთოდოლოგია ამოქმედდა, რომლის მიხედვით, საყოფაცხოვრებო ნივთები და ტექნიკა ფუფუნებად აღარ ითვლება და სარეიტინგო ქულების რაოდენობაზე გავლენას აღარ ახდენს.

– დიახ, ახლა ტელევიზორისა და კომპიუტერის გამო, სტატუსს აღარ ართმევენ, მაგრამ სხვა პრობლემებს ასე ადვილად არ ეშველება.. ძალიან ბევრი ოჯახი ვიცი, სადაც შვილებს მაღალი შემოსავალი აქვთ და მშობლები სოციალურად დაუცველის სტატუსს იღებენ და ეს ბიუჯეტიდან ფუჭად გაღებული ფულია. ოფიციალურად, კანონი შვილს მშობლის რჩენას არ ავალდებულებს, მაგრამ თუ ჩვენი მორალი, კულტურა და ტრადიციები იქამდე დავიდა, რომ კანონის მოთხოვნის გარეშე, მშობლის მოვლა აღარ გვინდა, მაშინ ეს ქვეყანა საქართველო აღარ ყოფილა. ამჟამად, ხანდაზმულებისთვის სტატუსის მინიჭების დროს, შვილების შემოსავლები არ აღირიცხება, მაგრამ ჩემი აზრით, ასე არ უნდა იყოს. ჩემი აზრით, სტატუსის მინიჭების დროს მხოლოდ ხანდაზმული მშობლების კი არა, მათი შვილების ქონებრივი მდგომარეობის აღწერაც უნდა მოხდეს.

– ამა თუ იმ მიზეზის გამო, შვილს თუ ხანდაზმული მშობლის რჩენა არ სურს?

– მაშინ მშობელზე და მის სახელზე არსებულ ქონებაზე უარი უნდა თქვას და მე მომხრე ვარ, რომ ეს კანონმდებლობაში ჩაიწეროს. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ სანამ ეს პროექტი დღევანდელი ფორმით არსებობს, სანამ სახელმწიფო ყოველწლიურად, მილიარდებს ყრის და ამ მილიარდების მნიშვნელოვანი ნაწილი ზარმაც ადამიანებთან მიდის, როგორი ეკონომიკური წინსვლაც არ უნდა გვქონდეს, სახელმწიფო წინ ვერ წავა და დროა, ამ ვითარების შეცვლაზე ვიფიქროთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

„ქართულ მარშს“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან პროვოკაცია ბასიშვილის ზონდერ-დაჯგუფებამ მოუწყო

გვესაუბრება მოძრაობა „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი რამაზ გაგნიძე.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ოფისთან მისული ჩვენი ორგანიზაციის წევრები, რომლებიც ე.წ. ჟურნალისტის გიორგი გაბუნიასგან ქრისტეს შეურაცხყოფისთვის ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ, ლიბერასტული სამყაროს დაკვეთით დააკავეს და სააკაშვილის ზონდერმოსამართლედ წოდებულმა დავით კურტანიძემ ექვს მათგანს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ის ბრალდება, რაც მათ წაუყენეს, 2000-ლარიან ჯარიმას და 30-დან 90 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობასაც ითვალისწინებს, მაგრამ ინციდენტს სისხლის სამართლის კვალიფიკაცია მისცეს. თურმე ეს ხულიგნური ჯგუფი, რომლებმაც წინასწარ მოილაპარაკეს და დაგეგმეს „დანაშაული“. თუ ბოდიშის მოხდის მოთხოვნა და გინება სისხლის სამართლის დანაშაულია, რომლისთვისაც ხალხს ციხეში უშვებენ. მაშინ რატომ არ დადგა სხვების, მათ შორის პოლიტიკოსების პასუხისმგებლობის საკითხი? იგივე მელია სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს ხალხს, ზუგდიდისა და თელავის საკრებულოებში, აგინეს კი არა, ცხვირ-პირი დაამტვრიეს ერთმანეთს, მაგრამ კაციშვილი არ დაუკავებიათ. შეიძლება ჩვენმა წარმომადგენლებმა მართლაც ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, დაესაჯათ ადმინისტრაციული წესით, ეს ბრალი 100-დან 500 ლარამდე ჯარიმას გულისხმობს. გაბუნიასთვის არავის უცემია, რომელიც ჟესტების ენით იქით აყენებდა შეურაცხყოფას იქ მისულ ხალხს. დაკავებულთაგან ორს ბრალი დაუმძიმეს, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების ბრალდებაც წაუყენეს. თურმე მათ დაუმტვრევიათ ტელეკომპანიის იურისტის ავტომანქანა და ზარალი 550 ლარს უტოლდება, არადა უმნიშვნელო დაზიანება იყო, რომლის გამოსწორებასაც მაქსიმუმ 150 ლარი ჭირდება. ზარალი ხელოვნურად გაბერეს, რომ სს-ის საქმე აღეძრათ. იმას რატომ არ ამბობენ, რომ იურისტმა თამთა მურადაშვილმა ავტომანქანით ფეხებზე გადაუარა ტელეკომპანიის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილ აქციის მონაწილეებს.

მე მოსამართლე კურტანიძის კომპეტენციაში არ ვიჭრები, მაგრამ იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს წინასწარ დაგეგმილი ხულიგნობა, იურისპრუდენცია ასეთ ცნებას არ ცნობს, ასე რომ ეს თავიდან ბოლომდე არასწორი ბრალდებაა. ვფიქრობ, ეს იყო „რუსთავი-2“-ის მხრიდან წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია. ჩვენი ორგანიზაციის ახალგაზრდულმა ფრთამ ფეისბუქით გაავრცელა ინფორმაცია, რომ „რუსთავი-2“-ის ოფისთან ვიკრიბებოდით დათქმულ დროს, რათა გაბუნიასთვის ბოდიში მოგვეხდევინებინა. ამ ინფორმაციებს ცხადია, ყველა კითხულობს. აქციის მონაწილეები დათქმულ დროს მივიდნენ ადგილზე, მურადაშვილის ავტომანქანა მათ უკვე ჭიშკართან ხვდება სადაც გაბუნიაც ზის, მურადაშვილი უცებ გამოვარდა და ფეხებზე გადაუარა რამდენიმე ადამიანს და ამის შემდეგ დაიწყო აყალმაყალი. ამ დროს ეზოდან გამოცვივდნენ ათამდე ზონდერი, ბადრი ბასიშვილის ცნობილი დაჯგუფების წევრები, რომლებიც დღემდე „რუსთავი-2“-ის დაცვის არაოფიციალური წევრები არიან. ამ ფიზიკურად ძლიერ, ნავარჯიშებ ახალგაზრდებს, რომლებიც გაბუნიას მსგავსად საყურეებით იყვნენ „შემკულნი“, „ქართული მარშის“ ახალგაზრდული ფრთის წევრებთან მოუვიდათ წაკამათება და ფიზიკური შეხლა-შემოხლა. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია ვიდეოკადრებშიც და ფოტოებზეც, ასე რომ ამ ზონდერჯგუფის ამოცნობა პრობლემას არ წარმოადგენს. კურიოზი ისაა, რომ ტელევიზიის კორესპონდენტი იღებდა იმ ადგილს, რომ თითქოს აქციის მონაწილეები მურადაშვილის ავტომანქანას უკნიდან აყირავებდნენ, ავტომანქანა შეიძლება გვერდიდან გადააბრუნო და არა უკანიდან. ყველა ტელევიზია სისტემატურ რეჟიმში ატრიალებდა ზონდერჟურნალისტ დავით ერაძის („რუსთავი-2“ ტელევიზია კი არა, ზონდერჟურნალისტების ნაკრებია) დასისხლიანებულ სახეს, მაგრამ არავინ ამბობს ამას წინ რა უძღვოდა. ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, ერაძეს როგორ გაყავს ჩვენი წევრი გიორგი ონიანი გვერდით, ეკამათება და მერე ურტყამს. რახან ონიანს ცხვირიდან სისხლი არ წამოუვიდა, ნაცემი არ არის და ონიანმა საპასუხოდ

რომ დაარტყა, მარტო ეს ითვლება ხულიგნობად? სასამართლოში ამ ყველაფერზე იყო მსჯელობა, როგორ შევარდა მურადაშვილი ავტომანქანით ადამიანების ჯგუფში, ცინიკურად როგორ იწვევდა გაბუნია აქციის მონაწილეებს, როგორ დაგვესხნენ თავს მათი ზონდერები, მაგრამ პროკურორმა და მოსამართლემ სიტყვა არ გვათქმევინეს, პროკურორმა, რომლის გვარიც აღარ მახსოვს, არცერთ კითხვაზე პასუხი არ გაგვცა. ეს პროკურორი ცნობილია, როგორც სოროსის ლიბერასტული ფრთის წარმომადგენელი, „შემოგდებული“ პროკურორია, მოსამართლეზეც მოგახსენეთ, ნაცების ზონდერ მოსამართლე იყო და თავისას არც ახლა იშლის, ის შერჩევითი სამართალი, რაც ნაცრეჟიმის დროს იყო გამეფებული, კვლავ მოქმედებს და ისევ ნაცების და მათი სატელიტების სასარგებლოდ. „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე პოლიტპატიმრებად გამოაცხადა და ბოდიში მოუხადა იმ რვა ადამიანს, რომელიც ნაცების მმართველობისას ტელეკომპანია „კავკასიის“ ღია ეთერში ქრისტეს სიყვარულის გამო დაიჭირეს და გისოსებს მიღმა გამოამწყვდიეს, მოქმედმა ხელისუფლებამ ახლა იგივე გაიმეორა, თვითონ უკვე შვიდი პოლიტპატიმარი ჰყავს. დიდი აჟიოტაჟით მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, მხოლოდ სოროსულ-ლიბერასტული ფრთის, ქრისტეს მაგინებლების ინტერესების დაცვას მოარგეს, ფაქტია, ქრისტიან-მართლმადიდებლების უფლებები როცა ილახება, არ მოქმედებს.

— არ ფიქრობთ, რომ თქვენ საქართველოს ხელისუფლება კი არა, გლობალიზაციის მონსტრი გიპირისპირდებათ ამ „ძალადმაცხონე“ გვარამიას და მისი დამქაშების ხელით?

— გეთანხმებით, მაგრამ ევროპაში არ არის ასეთი კატასტროფული მდგომარეობა, ათამდე ქვეყანას გლობალისტ-მასონები ვერაფერს აკლებენ. საპატრიარქომ განცხადება გაავრცელა, რაც გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო, მოგეხსენებათ, ეკლესიაშიც მრავლად არიან ლიბერასტული ფრთის წარმომადგენლები, რომლებიც პატრიარქს ღალატობდნენ და სულიერებისგან შორს დგანან. მთავრობასთან იმიტომ მაქვს პრეტენზია, რომ არ შეიძლება გარე ძალებს მუდმივად თავი დაუხარო და მათი „დირექტივებით“ იმოქმედო, პოლიციამ ლამის ერთი-ერთში გაიმეორა ნაციონალებისდროინდელი პოლიციის „სპეცოპერაციები“. ბასიშვილის ზონდერებმა ტვინის შერყევა მიაყენეს მიხეილ ამისულაშვილს, ირაკლი დოლენჯაშვილს, ლადო სადღობელაშვილს და სხვებს, საქმეში დევს ეს სამედიცინო დასკვნები, მაგრამ პროკურატურა-მართლმსაჯულებას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. აქციის მონაწილეები ზოგი საავადმყოფოში დააკავეს, ზოგიც ოფისებში, სადაც პოლიციამ კარი შეამტვრია. ინციდენტის დროს სანდრო ბრეგაძე იქ საერთოდ არ ყოფილა, ჩვენ სხვადასხვა ავტომანქანებით ვმოძრაობდით, „საცობში“ მოვხვდით და ლამის ორი საათის დაგვიანებით მივედით. სანდრო პოლიციამ დააკავა, მოგვიანებით, როცა საავადმყოფოდან გამოვიდა მაშინ უთხრეს, მოწმის სტატუსით უნდა დაგკითხოთო. როდის იყო მოწმეებს აკავებდნენ, შეტყობინება გაუგზავნეს და უარი თქვა ჩვენების მიცემაზე? ვაკე-საბურთალოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს, რომლებსაც ფორმა არ ეცვათ და არც შესაბამისი მოწმობები წარუდგენიათ. პოლიციის შენობაში არ უცემიათ, მაგრამ დაკავების დროს სანდროს თავი მიარტყმევინეს და ზედა ტანსაცმელი შემოახიეს, მცირე სილურჯის კვალი ეტყობოდა, ჩაატარონ სამედიცინო, ბიოლოგიური თუ ქიმიური ექსპერტიზები, რაც უკვე მოვითხოვეთ და დამტკიცდება, რომ სანდრო ძალის გამოყენებით დააკავეს. ნერვიულობის დროს გულყრები ეწყება, დაკავების დროს ცუდად გახდა, მაღალი წნევაც ჰქონდა, პოლიციაში პატარა, უჰაერო ოთახში გამოკეტეს და ცუდად რომ გახდა, კარს არ უღებდნენ ჰაერი რომ შესულიყო. ადამიანის წამება მარტო ცემა, ფეხებით დაკიდება, ხელების მაგიდის უჯრაში მოყოლება არ არის, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ. ცუდად მყოფ ადამიანს საათზე მეტ ხანს უჰაეროდ რომ გამოკეტავ, ხომ შეიძლება დაიღუპოს, შველას რომ გთხოვს და ექიმს არ გამოუძახებ, ესეც წამებაა, რასაც ევროკონვენციის შესაბამისი მუხლიც ითვალისწინებს. არც ამ ფაქტებს მიაქცია ყურადღება მოსამართლემ. მელორ ვაჩნაძე სანდროს სანახავად იყო მისული საავადმყოფოში, როცა დააკავეს. პალატიდან გამოსულს დახვდა ბადრაგი, რატომ შეხვედრიო, ცემით დამუქრებიან, შეკამათების დროს მელორს ტელეფონი ამოუღია და იღებდა, რამაც პოლიციელები გააღიზიანა, ლიფტში შეუყვანიათ და იქ უცემიათ. ნაციონალები ვინც არიან კარგად ვიცი, მე „ქართული ოცნების“ იმ წარმომადგენლებისგან მწყინს დაპატიმრებული ადამიანების დაცინვა-ღლიცინი, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ვიბრძოდით ნაციონალების წინააღმდეგ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ცრუქაქუნები

კი, რუსეთი ოკუპანტია, არ არის სადავო და ისეთივე ოკუპანტია, როგორც დანარჩენი მეზობლები, თუმცა ამის თქმა აკრძალულია, ეწყინებათ იმ „ძვირფას“ მეზობლებს, მხოლოდ რუსეთზე უნდა მოგვადგეს დუჟი. უკვე ისეთ ფაზაში გადავიდა ისტერიული გამოტხომები რუსეთთან დაკავშირებით, რომ სავარცხვინოდღა ჩანან სხვადასხვა საპატიო სტატუსის მქონე პირები. სადმე მოფარებულში მაინც აბრეხვონ ზღაპრულ-მასხრული მარგალიტები, მაინცდამაინც ტელევიზიიდან „შტერაობა“ ზედმეტად უხერხულია. არადა, მწვანე კიტრად მოაქვს თავი ყველა მათგანს.

იდიოტობამდე დასული ფრაზების მსროლელების რამდენიმე კატეგორიაა, მაგალითად, „რუსეთთან სიტყვის მებრძოლ პატრიოტთა გაერთიანება“, რომელთა მოწოდების ძირითადი ხაზია — „აღარ მოვუთმინოთ რუსეთს!“

კეთილი და პატიოსანი, აღარ მოვუთმინოთ, მაგრამ რომ აღარ მოვუთმენთ, რა უნდა მოვიმოქმედოთ?

სამხედრო ძალით უნდა დავარტყათ სტავროპოლს და ასტრახანს? ყველა აქ ჩამოსული რუსი ტურისტი მძევლად ავიყვანოთ და ფრჩხილები დავაძროთ თუ ტრ..ში თხილამურები გავუკეთოთ? თუ „არმოთმენა“ ის იქნება, საქართველოს პირველი პირი რუსეთის პირველ პირს საჯაროდ თუ ეტყვის, შენ მოგ... ავ კეთილებსო?“

მგონი, ძლივს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა დაელაპარაკონ რუსეთს, ეგებ, ფიზიკურად მაინც გადავრჩეთ, როგორც ერი, მაგრამ — არა! გამოიშალა სხვადასხვა ქვეყნის გოშია დესანტი და ატყდა გნიასი.

თურმე ენის მოჩლექით არ უნდა ველაპარაკოთ რუსეთს, თორემ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები გაგვინაწყენდებიან და რუსეთთან პირისპირ შეტოვებულები სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ამ აზრის გადმომფრქვეველ კაცს სერიოზულ კაცად ვიცნობდი, ჭკვიანიც მეგონა პირადად მე და ეკრანიდან რომ ასე დაგვამუნათა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. შე კაი კაცო, ასე დაგრია ხელი სკლეროზმა? 2008 წლის აგვისტოში კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად რომ შეცვივდით თქვენნაირები სამაჩაბლოში და პირისპირ შეგატოვათ თქვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა რუსეთს, ეს ამბავი როგორ იყო? ამაზე მეტად როგორღა უნდა შეგატოვოთ?

ჭორად გაგდებულ სამ დღეში კი არა, რუსეთის საომარ მოქმედებებში ჩართვიდან რამდენიმე საათში რომ „ურა-პატრიოტებმა“ უსიტყვო და სასწრაფო კაპიტულაციას მოაწერეთ ხელი და ტორტის ნაჭერივით მიართვით საქართველოს კიდევ ერთი ნაწილი რუსეთს, ან სად იყვნენ ის სტრატეგიული პარტნიორები, ან რა მოიმოქმედეს სადაც იყვნენ, თავზე ნაცრის წაყრაც რომ დაეზარათ?

2008 წლის აგვისტოში რომ „ჩამოხსენით ნიღაბი რუსეთს“, ისევ აიფარა და ახლიდან უპირებთ ჩამოსხნას კიდევ ერთი კუთხის გადაცემის ხარჯზე, თუ რას რიტორიკობთ, რას სთავაზობთ ცალკე იმავე ოკუპანტს?

კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი კაცი შეეწირა მავანთა მავნებლობას საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ და სპეკულანტობა ამაზეც არ დაიზარეს ნამუსგარეცხილებმა. სწორედ ისინი გაჰყვირიან ხმამაღლა და გაბმით, უკანალგასვრილები ჩუმად რომ უნდა ისხდნენ ჩირგვებში; ვის კისერზეც არის სწორედ ის სამარცხვინო 2008 წლის აგვისტო!..

„შაჰ აბასის შთამომავლებმა აწამეს ქართველი გმირი!“ — გამოხტა ვიღაც. ღმერთმა გაანათლოს ყველა ღირსეულის სული და მომიტევეთ, რომ არ ვიცი ყველა გმირის გმირული ისტორია, მაგრამ შაჰ აბასთან შედარებამ დამცა! კარგი, ვთქვათ, შაჰ აბასი ერთგვარ მეტაფორად ჩავთვალოთ — რაც ე.წ. ქართველებმა ქართველებივე აწამეს, დაამახინჯეს, გააუპატიურეს, ცემეს, მოკლეს, გააქრეს წლების განმავლობაში, რომელი შაჰ აბასის შთამომავალი და ოკუპანტი გაახსენდება ამ ყველაფრის შემსწრეს... საკუთარივე ქვეყნისა და ხალხის ოკუპირებაში ეჭვმიტანილი ცალკეული პირები თუ პარტიული გაერთიანებები რომ ვინმესკენ გაიშვერენ თითს, ის თითი ჯერ ცხვირში მაინც წაირტყან.

კიდევ ერთმა ჭკუისსაკითხავმა კაცმა დაარეხვა „სიბრძნე“ და ამ კაცის ვინაობა მხოლოდ იმიტომ უნდა დავასახელო, რომ პარლამენტის „თავი-კაცი“ იყო — დავით უსუფაშვილი. თურმე, ის უამრავი ქართველი, რომელიც ევროპაში ითხოვს თავშესაფარს, იმიტომ გარბის საქართველოდან, რომ უკვე რეალურ სახეს იძენს რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნების საშიშროება. დემაგოგია გამიგია, უტიფრობაც გამიგია, მაგრამ ასეთი ურცხვი, უტიფარი დემაგოგია ამაზრზენია!..

რომელი რუსეთის შიშით გაიქცა ვინმე საქართველოდან სხვა ქვეყანაში, იმ რუსეთის, სადაც დღემდე უამრავი ქართველია გახიზნულ-ჩასახლებული? რუსეთის შიშით რუსეთში რომ ყველაზე მეტი ქართველია გაქცეული, ამ ფაქტს რა ვუყოთ? ან ის როგორ აიხსნება, რომ ოკუპანტი რუსეთის რუსეთში გაქცეული ქართველები რატომღაც მოხუცების ან ბავშვების მომვლელები, ბარ-ბორდელების მომსახურე პერსონალი, ან მეკურტნეები კი არ არიან, ან საკუთარი სპეციალობით მუშაობენ, ან კერძო ბიზნესი აქვთ გაშლილი, ან „ქურდულს აწვებიან“, ყველა შემთხვევაში, დამცირებულად არ გრძნობენ თავს, არც მორალურად, არც მატერიალური შემოსავალი თ.

ამასწინათ კარიკატურა ვნახე, ეგვიპტის პირამიდებს მიწის ქვემოთ „ბაბა-იაგას“ სახლის კლანჭიანი ფეხები ჰქონდა. კარიკატურის დასათაურება იყო — „რუსული კვალი“. ასე კარიკატურულად რომ გვქონდეს საქმე, კიდევ რა უშავს, უბედურება ისაა, რომ ჭკუის საკითხავ კაცებად და ქალებად ისეთი ადამიანები გვყავს ასპარეზდათმობილი, რომ გარეშე თვალისთვის მთელი ერი ბრიყვი, უწიგნური, აბსოლუტურად ალოგიკური და ტვინგალაყებული წარმოვჩინდებით.

გიგი თევზაძე, ადამიანი, რომელსაც მომავალი თაობების განათლება ებარა, აბარია თუ ებარება და ხმამაღლა იტყვის, საქართველოში შობის აღნიშვნა ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯია დამოუკიდებლობის დაკარგვისკენო, თან შუბლის ძარღვიც არ შეუტოკდება, მხოლოდ სამარცხვინო რომ იყოს, რა უშავს...

იგივე თევზაძის მიგნებაა, რომ აღა მაჰმად ხანის ლაშქრობა 1795 წელს რუსეთის პროვოცირებითა და დაფინანსებით მოწყობილა... კი, ნამდვილი დიდძალი გრანტი გამოუყო რუსეთმა და მართალი ყოფილა შალვა შავგულიძე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და დამნაშავედ გამოცხადებას რომ ითხოვს ყველა იმ მოხელისას, ვინც რუსეთთან დალაპარაკებას მოინდომებს. ვადროვოთ ცოტა და ახალი ინიციატივა გამოჩნდება, ამჯერად პურუკუ, იმ სტრატეგიული და ისტორიული მეგობრების საამებლად, მხოლოდ სახელად რომ არსებობენ. მაგალითად, ვინც აშშ-ის საელჩოს წინ ჩავლის დროს აშშ-ის ჰიმნიდან ერთ პწკარს მაინც არ ჩაიღიღინებს, პირველ ჩავლაზე სოლიდური თანხით დაჯარიმდეს, მომდევნოზე კი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს; ვთქვათ, მეჩეთთან ჩავლისას „ალაჰ ილლალაჰ“-ის შეუძახებლობაზე დაისაჯოს, ხოლო დავით აღმაშენებლის კეთილად მოხსენიებაზე შაყისკვრა იყოს, მეზობელ და მეგობარ თურქეთს ვაამოთ, 2021 წელი დგება და მივეფეროთ.

გიორგი ჩხეიძე

საქართველო ჩვენი სამშობლოა - ჩვენ, ებრაელებმა, სანამ პირში სული გვიდგას, საქართველოსთან კავშირები უნდა შევინარჩუნოთ!

ქართულად მაქვს დისერტაცია დაწერილი, ქართულად ვაზროვნებ, ქართულად ვლაპარაკობთ მეგობრები, ქართულად ვსაუბრობთ ოჯახში და ქართული ტრადიციებით ვცხოვრობთ

გვესაუბრება დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, ბატონი შალვა ფიფუაშვილი.

— ბატონო შალვა, თქვენ გაქვთ ორმაგი მოქალაქეობა, ხშირად დადიხართ საქართველოში. ამჯერად რა არის თქვენი სტუმრობის მიზეზი?

— გასულ წელს დავბეჭდეთ „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“ და შევუდექით საქართველოს ებრაელთა პროზაზე მუშაობას. ამჟამად, თბილისში კაბადონდება ეს წიგნი და ჩემი სტუმრობის მიზეზიც ეს გახდა.

წიგნი, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს იქნება მზად, პრეზენტაციას მოვაწყობთ ჯერ ისრაელში, შემდეგ თბილისში, ებრაელთა მუზეუმში.

— ბატონო შალვა, რამდენი ებრაელი მწერლის ნაწარმოები შევიდა ამ ანთოლოგიაში და რა ენაზე წერენ ავტორები?

— პოეზიის ანთოლოგიაში 61 ავტორი შევიდა. პროზის ანთოლოგიაში კი 40-ზე მეტი.

40 პროზაიკოსი რომ მოიძებნოს ქართველ-ებრაელთა პატარა თემში, ეს არის საინტერესო და სასიამოვნოდ გასაკვირი.

უნდა გითხრათ, რომ პროზის ანთოლოგიის ავტორებიდან მხოლოდ ორი წერს რუსულად, დანარჩენები ქართულად.

აღსანიშნავია პროზის ანთოლოგიაში შეტანილი ერთი რუსულენოვანი ავტორის ნაწარმოებები. ეს გახლავთ თბილისში დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი რიტა იოსებაშვილი, რომელიც ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს. სხვათა შორის, ის გახლავთ და ცნობილი სიმონ კრიხელისა, რომელიც ნიუ-იორკში გამოსცემს სოლიდურ ქართულ გაზეთს „დავითის ფარს“.

ავტორები გვყავს როგორც ამერიკიდან, ისე საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან, საქართველოდან.

— გასაკვირია, რომ ეს ადამიანები ქართულად ქმნიან ლექსებს. ქართულ-ებრაული პოეზია, ალბათ, ცალკე ფენომენია ქართულ ლიტერატურაში.

— თქვენ ნახავთ, რომ თითოეული ნაწარმოები, პროზაც და პოეზიაც შექმნილია ძალიან კარგი ქართულით. მაგალითად, გიგლა ხუხაშვილს გალაკტიონ ტაბიძეზე აქვს დაწერილი ისეთი მოთხრობა, გაოცების გარეშე ვერ წაიკითხავთ.

— ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოში არსებობს საქართველოს ებრაელთა ისტორიის ამსახველი მუზეუმი.

— მე და ბატონმა გივი ღამბაძიშემ დიდი ძალისხმევით შევძელით და აღვადგინეთ 1951 წელს დახურული საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. პროექტი წარვუდგინეთ მაშინდელ მთავრობას და მთავრობამ მოიწონა იგი. პროექტი ითვალისწინებდა მუზეუმის რესტავრაციას, რაც ფინანსთა სამინისტროს უნდა განეხორციელებინა, თუმცა იმდროინდელი პოლიტიკური მოვლენების გამო საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. მალე სამოქალაქო ომი დაიწყო და მუზეუმისთვის არავის ეცალა. ასე გაჭიანურდა საქმე 2014 წლამდე. დანგრევის პირას იყო მისული იქაურობა. თქვენ ხართ ნამყოფი იმ მუზეუმში?

— არა.

— ბევრი დაგიკარგავთ.

იქ რომ შეხვალთ, გული გაგინათდებათ. მუზეუმი უნიკალურია არა მხოლოდ ექსპონატების სიუხვით, არამედ სასიამოვნო გარემოთი და შესანიშნავი ინტერიერ-ექსტერიერით.

— საქართველოს ებრაელებმა მოინდომეს, ალბათ, და გაარემონტეს მუზეუმი.

— მუზეუმი სრულად არის გარემონტებული ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახსრებით. მან დიდი საქმე გაუკეთა ქართველ-ებრაელთა თემს და არა მარტო ქართველ ებრაელებს, არამედ სრულიად ებრაულ სამყაროს.

თუ არ ვცდები, ყოველ ორ წელიწადში, მსოფლიოში მუზეუმების საერთაშორისო კონფერენცია იმართება. ახლახან მიუნხენში გაიმართა ასეთი კონფერენცია, სადაც ჩემი მეგობრის, გივი ღამბაშიძის ქალიშვილმა აჩვენა ჩვენი მუზეუმის ვიდეოკოლაჟი. აღფრთოვანებულნი იყვნენ, თურმე, ასეთი მუზეუმი მსოფლიოში იშვიათიაო.

რასაკვირველია, ყოველივე ეს ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა. მას რომ არ აღედგინა ეს მუზეუმი, არც გამოფენა გვექნებოდა და არც მუზეუმი და ვერც საერთაშორისო აღიარებას მივაღწევდით.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პატარა ქვეყანაში, ასეთი გრანდიოზული საქმე გაკეთდა იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ებრაელები ახლა უკვე ცოტა რაოდენობით არიან.

— როგორ ფიქრობთ, რამ გაანაპირობა ქართველებსა და ებრაელებს შორის უპრეცედენტო მეგობრობა?

— ჩვენი მეგობრობა განაპირობა ქართველთა ტოლერანტულმა ხასიათმა და ებრაელთა ხასიათში არსებულმა ერთგულებამ და საიმედოობამ. ებრაელი თავის მეგობარს, ვინც უნდა იყოს ის, თუ უმეგობრა, ზურგს არასდროს შეაქცევს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ებრაელები საქართველოში ძვ.წ. აღ-ით VI ს-ში მოვიდნენ და მცხეთის მამასახლისის თანხმობით, სოფელ ზანავში დასახლდნენ.

I საუკუნეში, როდესაც იესოს გასამართლება მოხდა, მოგეხსენებათ, აქედან ებრაელები წავიდნენ.

იმასაც დავძენ, რომ რომის ერთ-ერთმა პაპმა ებრაელები გაამართლა. მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვით იესო ქრისტეს წამებასა და მკვლელობაშიო. სხვანაირი პოლიტიკა ტრიალებდა მაშინ და სხვა ამბები იყო, მაგრამ, მოდით, თემას არ გადავუხვიოთ და გავიხსენოთ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი და მათი და სიდონია, რომელიც იესოს კვართთან ერთად დაკრძალეს.

ამ ადამიანებს დიდი წვლილი მიუძღვით მაშინდელ საქართველოში კერპთთაყვანისმცემლობის დამხობის საქმეში.

ებრაელთა თემმა ძალიან შეუწყო ხელი წმინდა ნინოს თავისი მისიის განხორციელებაში. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, წმინდა ნინო ქართლში რომ შემოვიდა, პირველად ურბნისს ეწვია, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, უმეტესწილად. ერთი თვე დაჰყო წმინდა ნინომ ურბნისში ებრაელებთან და მერე დაიწყო მსვლელობა მისიის აღსასრულებლად.

ახლა მოგიყვებით ერთ გადმოცემას, რომელიც ებრაელთა ერთგულებას და საქართველოს სიყვარულს ადასტურებს.

ერეკლე მეფის დროს ინდოეთში ერთ-ერთი დიდი პროვინციის მმართველი ერეკლეს მეგობარი გახლდათ. სომეხი ყოფილა ის კაცი. ერეკლეს გადაუწყვეტია, მისთვის გარეკახეთის მიწები ეჩუქებინა მეგობრობის ნიშნად. ეს სიგელი იოსებ დანიბეგაშვილისთვის გაუტანებია ინდოეთში. დანიბეგაშვილი ებრაელ ვაჭარს ჯინჯიხაშვილს გაჰყოლია. მთელი გზის განმავლობაში დანიბეგაშვილს დანა არ უხსნიდა თურმე პირს. ჯინჯიხაშვილს ბევრი ხვეწნის შემდეგ გაუტეხია დანიბეგაშვილი და მასაც მეფის სიგელის შესახებ უამბია ვაჭრისთვის. ჯინჯიხაშვილს უთქვამს: მე მოვუვლი ამ საქმესო. იმ პერიოდში სომეხი მთავარი სასიკვდილო სარეცელზე ყოფილა მიჯაჭვული და ჯინჯიხაშვილს ეს ამბავი კარგად სცოდნია. სომეხს ფანტიაშვილისნაირი ვაჟი ჰყოლია. როცა გარდაცვლილა ინდოეთის პროვინციის მმართველი, მერე გამოუჩენიათ ჯინჯიხაშვილს და დანიბეგაშვილს ეს წერილი, მიუტანიათ იმ სომეხის შვილისთვის და უთქვამთ: საქართველოს მეფემ კი გიბოძათ ეს მიწები, მაგრამ, რად გინდათ შორეულ ქვეყანაში ხრიოკი ადგილი, გაყიდეო. მიუცია ჯინჯიხაშვილს დიდძალი ოქრო, გამოუსყიდია ეს მიწები. მერე ჩამოსულან თბილისში და კვლავ საქართველოსთვის გადმოუციათ ეს მიწები. ეს არის ლეგენდა, მაგრამ არ არსებობს ლეგენდა, რომელშიც სიმართლის მარცვალი არ იყოს.

ახლა ნამდვილ ისტორიულ ფაქტს მოგიყვებით და ყველა დარწმუნდებით ებრაელთა ერთგულებაში საქართველოს მიმართ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, თურქეთმა საქართველოს მიწების დაპატრონება გადაწყვიტა. იმ ხანებში ქუთაისში გამოდიოდა ებრაული გაზეთი „ებრაელის ხმა“. ამ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ვინმე დავით მოშიაშვილი ავრცელებს განცხადებას: ჩემო ძმებო და მეგობრებო, საქართველო გასაჭირშია. ქართველი ხალხი ომის პირასაა. ჩვენი, საქართველოს მეგობარი და საქართველოს შვილების — ებრაელების ვალია, შევიკრიბოთ, შევქმნათ ებრაული რაზმი და დავეხმაროთ ქართველებს.

დავიცვათ ჩვენი სამშობლო! — ასე მთავრდებოდა ის მიმართვა.

— ბატონო შალვა, ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს ისრაელის საზღვარზე ქართველებისადმი უდიერი მოპყრობის ფაქტები. ეს არყევს ჩვენს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობას და ახარებს მტერს, რომელიც, შესაძლოა, კმაყოფილია ჩვენს შორის ურთიერთობის დაძაბვით.

— იყო დრო, როცა ნებისმიერი ქართველი ჩამოდიოდა და არავითარი პრობლემა არავის შექმნია. მაგრამ რა მოხდა, ახლავე მოგახსენებთ. ისრაელის საზღვარზე მკაცრ კონტროლს რომ გადიან ქართველები, ეს არის ფაქტი, თუმცა ეს არ გახლავთ ისრაელის მხარის, ან ებრაელი მესაზღვრის ბრალი.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ისრაელიდან ებრაელები ჩამოდიოდნენ, კრებდნენ ფულს ისრაელში წასვლის მსურველი ქართველებისგან და გადაჰყავდათ ისინი საზღვარზე არალეგალებად.

ეს არასახარბიელო ფაქტია, მაგრამ ყველა ერში შეიძლება იყოს არაწესიერი ხალხი.

მოკლედ, დაიჭირეს ეს ყალბისმქნელი ებრაელები, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ არიან დარჩენილი მსგავსი ელემენტები, რომლებიც ცდილობენ არალეგალურად გადაიყვანონ ისრაელში ხალხი საქართველოდან.

ახლა გავიხსენებ ერთ შემთხვევას და ამაზე საუბრით თავს მეტად აღარ შეგაწყენ თ. ჩვენს ორგანიზაციაში — „საქართველოს ებრაელთა კვლევის ცენტრი ისრაელში“ სტუმრობის ეგიდით ორი კაცი ჩამოვიდა ისრაელში. გააჩერეს საზღვარზე. ჰკითხეს ჩამოსვლის მიზანი. მათ უპასუხეს: ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად ჩამოვედითო. გაესაუბრნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანებს ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიის კი არა, საქართველოს ისტორიის არაფერი გაეგებოდათ.

ვინ აღმოჩნდნენ ესენი? — უბრალო მუშები.

მე შემაცდინა ერთმა კაცმა, რომელმაც მთხოვა, თქვენს ორგანიზაციაში სტუმრად მოდიანო და მივეცი თანხმობა.

საზღვრიდან მაშინვე დამირეკეს — ასეთი მდგომარეობაა, თქვენ იქნებით პასუხისმგებელი, რომ უკან წავლენო? მე ვუთხარი, რომ ამ ადამიანებზე პასუხისმგებელი ვერ ვიქნებოდი. ისინი უკან გააბრუნეს.

ჩემი ვაჟი მორისი მედიცინის სფეროში მოღვაწეობს. მასაც იგივე რამ შეემთხვა. მას სთხოვეს და მისი მოწვევით ორი კაცი, ვითომ ექიმები გადმოდიოდნენ საზღვარზე. ისინიც მუშები აღმოჩნდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ, რატომ გიკვირთ, საზღვარზე მკაცრი კონტროლი რომ იყოს? აქვე დავძენ, მე ასევე მომწვდა ყურს, თითქოს საზღვარზე აპატიმრებდნენ ქართველებს, აგდებულად ეპყრობოდნენ, წყლიან ჭიქაში უფურთხებდნენ და და ა. შ. გამორიცხულია ეს.

ერთადერთი, რატომაც შეიძლება ასეთი პროვოკაციული ჭორები ვრცელდებოდეს, არის ის, რომ ვიღაცას არ მოსწონს ჩვენი ურთიერთობა. ამიტომ მეტად გონივრულად უნდა მივუდგეთ ყველაფერს.

— თქვენთვის რა არის საქართველო?

— ორმაგი მოქალაქეობა მაქვს. საქართველო ჩემთვის სამშობლოცაა, საყვარელი ადგილიც არის და ყველაფერია. საქართველოში უამრავი მეგობარი მყავს. ახლაც, ამ ჩამოსვლის დროსაც იმდენი ძველი მეგობარი ვნახე, ისე ვისიამოვნე მათი ნახვით, ვერ აგიწერთ. უდიდესი სულიერი სიამოვნება განვიცადე. ჩვენ, სანამ პირში სული გვიდგას, ასეთი კავშირები უნდა შევინარჩუნოთ.

— ახალი თაობები როგორ უყურებენ ამ ურთიერთობებს?

— ქართული ენა თანდათანობით იკარგება. ისრაელში დაბადებული ბავშვი სკოლას ამთავრებს ებრაულად. სწავლობს ებრაულად, მუშაობს და ლაპარაკობს ებრაულად. რაც შეეხება გვარებს, იქ უჭირთ ქართული გვარების წარმოთქმა, ამიტომ ჩემმა ვაჟმა მორესმა, მაგალითად, გვარი წიწუაშვილი თარგმნა და ახლა ის არის მორეს ბენ ორენ. ბიძაშვილი მყავს გერშონი, ისიც ბენ ორენია. ბევრი ინარჩუნებს ქართულ გვარებს. მე, მაგალითად, ჩემი გვარით მიცნობენ ისრაელშიც და ყველგან. სანამ მე და ჩემი შვილების თაობა ვართ, ქართული ენა იარსებებს ქართველ ებრაელებში, მერე, ალბათ, უკვე აღარ. **ქართულად მაქვს დისერტაცია დაწერილი, ქართულად ვაზროვნებ, ქართულად ვლაპარაკობთ მეგობრები, ქართულად ვსაუბრობთ ოჯახში და ქართული ტრადიციებით ვცხოვრობთ.** ჩემი შვილიშვილი, რომელიც ახლა ამერიკაში სწავლობს, შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად და ისეთ სადღეგრძელოებს ამბობს, გაგიკვირდებათ, რატომ ხდება ასე? მე მას სულ ქართულად ველაპარაკებოდი.

რამდენიმე ხნის წინ მე და ჩემი მეგობარი გივი ღამბაშიძე მივედით საქართველოს დიასპორის სამინისტროში და მივიტანეთ წერილი. ვთავაზობდით ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას ისრაელში, ქართული ენის პოპულარიზაციას, ქართული ენის სწავლების ღონისძიებების განხორციელებას, ბავშვთა ჯგუფების შექმნას და ა. შ. წერილი გადავეცით მინისტრის მოადგილეს. თუმცა, პასუხი არ ჩანს. ჩვენ საქმეს მაინც ვაკეთებთ. აი, ანთოლოგიები გამოვეცით. სხვა მნიშვნელოვანი გამოცემებიც გვაქვს დაბეჭდილი, საინტერესო ღონისძიებებია განხორციელებული.

— თანამედროვე პერიოდში რამ შეიძლება გააძლიეროს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. სულიერმა კავშირებმა თუ პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პარტნიორობამ?

— ერთიც სჭიროა და მეორეც, თუმცა არ ვეთანხმები ზოგიერთის აზრს, წავიდა სულიერი კავშირების დრო და ახლა ურთიერთობებმა სხვა ფორმატი შეიძინაო. მე ვინ დამიშლის ჩემი ქართველი ძმები მიყვარდეს? ვერაფერი ვერ წაშლის, მაგალითად, ჩემი და ჩემი მეგობარი გივი ღამბაშიძის ურთიერთსიყვარულს. გაჭირვებაც გამოგვივლია ერთად და დალხინებაც და ერთხელაც არ გვიღალატია ერთმანეთისთვის.

კიდევ გავიმეორებ, რაც ისრაელის საზღვარზე ხდება, ამაში ისრაელი არ არის დამნაშავე. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი ისრაელია, მე ინფორმაციებზე დაყრდნობით ვლაპარაკობ.

— მოდით, ჩვენი, ქართულ-ებრაული ურთიერთობების მომავალ პერსპექტივებზე ვისაუბროთ.

— მიუხედავად ზოგიერთი ძალების მცდელობისა, ჩვენი ურთიერთობები არ შეიცვლება: მეგობრობით, ნდობით, ურთიერთგატანით ვიარსებებთ დედამიწაზე კიდევ მრავალი საუკუნე. ამის დიდი იმედი მაქვს.

ამ ინტერვიუში შევეცადე გადმომეცა ბატონი შალვას შესანიშნავი ქართულით წარმოთქმული განცდები საქართველოსადმი.

საუბრის დროს ბევრჯერ ჟრუანტელმა დამიარა, როცა წარმოვიდგინე, რომ დიდი და ძლიერი ისრაელის შვილი, პატარა საქართველომ თავისი მიწისა და ცის სიყვარულით გამოზარდა, მერე დედასავით თვალცრემლიანმა გაუშვა და ახლა ყოველი მისი ნახვით ამაყობს და ხარობს...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„არავითარი გაერო! სამყაროში უნდა არსებობდეს ერთი ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც უნდა განაგოს მსოფლიო“

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ წამოწყებული „სავაჭრო ომი“ კვლავ გრძელდება. გასულ კვირას სპეციალური მემორანდუმით ტრამპმა იმპორტზე გადასახადი დაუწესა ჩინეთს. ფოლადისა და ალუმინის გარდა, საფასურს სხვა პროდუქციაზეც გაუზრდიან. თუმცა ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებიათ ზუსტი ჩამონათვალი, მაგრამ ექსპერტების წინასწარი გათვლებით, საუბარი სოლიდურ თანხაზეა. ამის გარდა, ტრამპმა ჩინელები მაღალი ტექნოლოგიების ქურდობაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, ამგვარი ქმედებით აშშ-მა ასეული მილიარდი დოლარით იზარალა. მემორანდუმი 31 მარტიდან ამოქმედდება. ჩინელებმა მხოლოდ უკმაყოფილება გამოთქვეს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ჩინელებმა საპასუხო ნაბიჯი გადადგან. ისინი პროდუქციის ზუსტ ჩამონათვალს ელოდებიან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მემორანდუმის გამოცხადებას მსოფლიო სავაჭრო-საფონდო ბირჟებზე რყევები და აქციების ფასების მკვეთრი დაცემაც მოჰყვა, რის გამოც ბევრმა კორპორაციამ საგრძნობლად იზარალა.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე დონალდ ტრამპი აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ ჩინეთს ასახელებდა, წინასაარჩევნო კამპანიაში ამ ქვეყნის მოთვინიერებასაც ჰპირდებოდა ამომრჩეველს. მიუხედავად ამისა, სანქციების დაწესება მიმომხილველთა ნაწილისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ შარშან მისი ერთ-ერთი პირველი მაღალჩინოსანი სტუმარი ჩინეთის ლიდერი სინ ძინ პინი გახლდათ. საპასუხო ვიზიტითაც იმყოფებოდა ტრამპი ჩინეთში. ვითომ დამთბარი ურთიერთობის მიუხედავად, ყველა თავის გამოსვლაში ტრამპი პირველ ადგილზე ამერიკის ინტერესებს აყენებდა. ფაქტობრივად, მან შეასრულა წინასაარჩევნო დანაპირები და შეზღუდა ქვეყანაში იმპორტი.

გასულ კვირას დონალდ ტრამპმა კიდევ ერთი საკადრო ცვლილება განახორციელა. თავისი თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჰერბერტ მაკმასტერი ჯონ ბოლტონით ჩაანაცვლა. მაკმასტერს ტრამპმა რბილი პოზიცია დაუწუნა სხვადასხვა საკითხში და ამიტომაც გაათავისუფლა თანამდებობიდან. 70 წლის ჯონ ბოლტონი თავისი რადიკალური პოზიციებით არის ცნობილი. ნებისმიერი საკითხის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის მომხრეა. იგი კატეგორიულად ითხოვდა ირანისა და ჩრდილოეთ კორეის უპირობოდ დაბომბვას. ბოლტონს ეკუთვნის გამოთქმა: „...არავითარი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სამყაროში უნდა არსებობდეს ერთი ძლიერი ქვეყანა, რომელმაც უნდა განაგოს მსოფლიო, ასეთი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებია“. ბუში-უმცროსის ადმინისტრაციაში, სადაც მას მცირე ხნით მოუწია მუშაობა, გაუწონასწორებელ ადამიანად მიიჩნევდნენ. მართალია, ახლა თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ განაცხადა, ჩემი პირადი შეხედულება და აზრი ერთია, მთავარი პრეზიდენტიაო, მაგრამ სეულში უკვე შიშობენ, რომ ბოლტონმა შეიძლება ჩაშალოს ჩრდილოელებთან დაწყებული მოლაპარაკება.

რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმირ პუტინის გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპს თავის ადმინისტრაციაში ურჩევდნენ, არ მიელოცა. პრეზიდენტმა მათ მოუსმინა, მაგრამ სამშაბათს დაურეკა და მიულოცა რუს კოლეგას არჩევნებში გამარჯვება. ტრამპი უფრო შორს წავიდა და აშშ-რუსეთის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების დაწყების შესაძლებლობა დააანონსა, რითიც კვლავ გააოცა თეთრი სახლის ადმინისტრაცია.

პოლიტიკოსების განცხადებით, აშშ-მა მსოფლიო მასშტაბით პოზიციები დათმო. ასეთი ვარაუდის საფუძველს მათ მოსკოვში განხორციელებული სატელეფონო ზარი აძლევთ. იმასაც აღნიშნავენ, რომ დონალდ ტრამპს დამოუკიდებლად მოქმედება სურს, მაგრამ რამდენად გამოუვა ეს, საკითხავია. რუსეთთან ომი კარგს რომ არავის არაფერს მოუტანს, ამას აცნობიერებენ, მაგრამ ომის მსურველი ბევრია. ექსპერტები აღიარებენ, რომ ტრამპი მოლაპარაკებებში უნარიანია და ამიტომაც სურს, გამართოს დიალოგი პუტინთან, მაგრამ კონგრესი დაუჭერს თუ არა მას მხარს, უცნობია. ამიტომაც სურს, წლევანდელ არჩევნებში მისთვის სასურველი კონგრესი შეიკრიბოს. პოლიტოლოგები არ გამორიცხავენ, რომ თავად დონალდ ტრამპი ჩავიდეს ჩრდილოეთ კორეაში. თუმცა მანამდე ჯერ ახლადდანიშნული სახელმწიფო მდივანი პომპეო გამართავს მოლაპარაკებებს როგორც რუსეთთან, ასევე ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებთან. პოლიტოლოგები იმასაც შიშობენ, რომ შესაძლოა, ტრამპს ეს გეგმები ჩაუშალონ.

გასულ კვირას დონალდ ტრამპი კიდევ ერთი უცნაური ინიციატივით გამოვიდა. მისი თქმით,. ნარკოტიკების მსხვილი პარტიების გამსაღებლები სიკვდილით უნდა დაისჯონ. რა იგულისხმება მსხვილ პარტიებში, უცნობია. ინიციატივის უცნაურობა იმაში გამოიხატება, რომ რამდენიმე შტატში ობამას პრეზიდენტობის პერიოდში მოხდა მარიხუანას ლეგალიზება. ახლა ადვილი შესაძლებელია, კვლავ აიკრძალოს ნარკოტიკები.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის წარსულით რამდენჯერმე დაინტერესდნენ ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები. თუმცა ხელჩასაჭიდი ვერაფერი ან არაფერი იპოვეს. გასულ კვირას ყოფილი პრეზიდენტი, ფაქტობრივად, დააკავეს და 26 საათი ჰყავდათ დაკითხვაზე. ბრალდება, რომელიც სარკოზის წაუყენეს, მართლაც სკანდალურია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ძველიც არის. თავის წინასაარჩევნო პერიოდში, 2007 წელს, სარკოზიმ ლიბიის დიქტატორად შერაცხულ მუამარ კადაფისგან ფინანსური დახმარების სახით 50 მილიონი ევრო მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციით, კადაფი ცდილობდა, ამერიკასა და ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა. როგორც ირკვევა, ეს მისი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებთან იყო დაკავშირებული. სარკოზიმ, გამარჯვების შემთხვევაში, კადაფს მზარდაჭერა აღუთქვა. ამიტომაც კადაფიმ არ დაიშურა ასეთი სოლიდური თანხაო. ამის გარდა, კადაფი დიდი სიმპატიით იყო გამსჭვალული აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მიმართ, რომელსაც თურმე ლექსებს და კომპლიმენტებს უძღვნიდა.

სარკოზის საარჩევნო შტაბის დაფინანსებაზე პირველად თავად კადაფი ალაპარაკდა 2011 წელს, მას შემდეგ, როდესაც კოალიციურმა ძალებმა შეუტიეს. ინგლისური გამოცემა „დეილი მეილის“ ინფორმაციით, ლიბიაზე შეტევის ინიციატორი ფრანგული მხარე იყო და კადაფის მოკვლა დაქირავებულ აგენტს თავად სარკოზიმ დაუკვეთაო. მას არ სურდა, გახმაურებულიყო უცხო ქვეყნიდან მისი დაფინანსების ფაქტი. იმასაც ამბობენ, რომ კადაფს ევროპის სხვადასხვა ბანკებში 100 მლრდ ევრო ჰქონდა დაბანდებული, რომლის ნაწილიც გაქრაო.

დაკითხვიდან გამოსული სარკოზი ტელევიზიით იმართლებდა თავს, როგორ შემეძლო, მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტს სხვა ქვეყნიდან მიმეღო ფულიო, მაგრამ მოკლული მუამარ კადაფის გარდა, არსებობენ ცოცხალი მოწმეები, ადამიანები, რომლებსაც უშუალოდ მიჰქონდათ სარკოზისთან ჩემოდნებით ნაღდი ფული. ამასვე ადასტურებს კადაფის შვილიც. რატომ გახდა მაინცდამაინც ახლა წარსულში მომხდარი ფაქტი აქტუალური, მომავალში გამოჩნდება. თუმცა, მიმომხილველების ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი და არ სჯერა, რომ სარკოზი რეალურად დაისჯება, რადგან საფრანგეთში ჯერ კიდევ გავლენიანი ფიგურაა და მისი ხალხი ხელისუფლების ყველა სფეროში, მათ შორის, თემიდაშიც არის დარჩენილი.

გია ბურდული
551 71 27 07

რას მერჩიან ფემინისტები, რატომ უნდათ ჩემი წილი მამაკაცის დაკოდვა?

ქეშას ბჟოგი

რამდენ ბანაკად დაიყო საქართველო: ფემინისტები, პარლამენტარები, პარლამენტში ქვოტის მომხრენი, ძალადობის მსხვერპლი ქალები, ქალების მოძულე ქალები, ქალების მოყვარული ქალები, პრადვინუწი ქალები, მეოჯახე ქალები.

რა დროს ფემინიზმია: ისედაც იმდენ მოვალეობას ვიღებთ ქალები საკუთარ თავზე, არ გვყოფნის? კიდევ უფრო ძლიერი სქესი გვინდა ვიყოთ? სადღა უნდა გავძლიერდეთ, როგორღა გავძლიერდეთ. რა თანასწორნი,

რატომ უნდა დავაჭედო კედელზე თარო, თუ სახლში კაცია - მით უფრო, რომ ლურსმნისა და ჩაქუჩის ხელში დაჭერისთანავე, უკვე რამდენიმე დაზიანება მაქვს თითებზე. რატო რა, ბაზრიდან თუ ჩანთას წამომიღებს მამაკაცი - წინააღმდეგი უნდა ვიყო?

არაფერი შეგეშალოთ, ფემინისტს ქალებს, სულაც არ კლავთ ლურსმნის დაჭედების სურვილი. არც გათანაბრება უნდათ - მეტი სჭირდებათ - მამაკაცის როლის გაუქმება და უფუნქციო მამაკაცი უნდათ - მონა სჭირდებათ - სასურველია დაკოდილი მონა, ენით დაკოდილი კი არა, მართლა დაკოდილი.

აბა, დააკვირდით, როგორი ქალები გამოდიან ფემინიზმის მოთხოვნით - ნახევარქალები, ძალადქალები, ქალ-კაცა ქალები - ხოდა, მაგათ ისედაც არაფერში სჭირდებათ მამაკაცი და ჩვენს წილ მამაკაცებს თავად მივხედავთ, დაგვაცადონ, ბატონო.

ჩემს წილ მამაკაცს - მინდა ელექტროენერგიის ქვითარს გავატან, მინდა სასიყვარულო ბარათს, ჩემს წილ მამაკაცს მინდა ლურსმნის დაჭედებას მოვთხოვ, მინდა სხვა რაღაცის დაჭედებას, მინდა ტოლმას შევუკაზმავ. რატომ მიტოვებენ ჩემს წილ მამაკაცს უფუნქციოდ, რატომ უნდათ ჩემი წილი მამაკაცის დაკოდვა?

რამდენი მამაკაციც არ უნდა დამიტოვონ უფუნქციოდ - მაინც არ გავიხედავ ქალისკენ - ჩემი წილი მკერდიც მეყოფა!

ძალად პრადვინუწი ქალებიც ოხრად გვყავს - აი, ძლიერი ქალი ვარ მე, ყველაფერს ჩემით მივაღწიე, მანქანა ჩემით ვიყიდე, სამსახურში ჩემით მოვეწყვე - მაგრამ, მეგობარი კაცის სახელს ვერ ვიტყვი, ცნობილი ადამიანია და არ მინდა ჯერ ვთქვა... არ უნდა, რომ ვთქვა...

ცნობილი და მდიდარი ადამიანის ხარჭა თუ ვიქნები - რატომ ვერ ვიყიდი მანქანას და ბაითს, რატომ ვერ ვიქნები ძლიერი.

ახლა გაპარლამენტარებული ქალები - გეხვეწებით რა

- ქართველი პარლამენტარი, გინდა კაცი და გინდა ქალი, მხოლოდ ორჯერაა გამოსადეგი - არჩევნების წინ, როცა ხმები უნდა და პარლამენტარობის ბოლოს - როცა ახსენდება, რომ ვადა გასდის და ხმები ისევ დასჭირდება.

დანარჩენ დროს კანონის, კონსტიტუციის და ერთმანეთის ჭამაში ატარებენ - ხოდა, ქალი დაღეჭავს და მოინელებს კანონს, კონსტიტუციას და პარლამენტარის ხელფასს, თუ კაცი - ჩემთვის ერთი ჯანდაბაა.

თუმცა, ასეც რომ არ იყოს, იყარა კენჭი რომელიმე ჭკვიანმა და კარგმა ქალმა არჩევნებში და სქესის გამო, ვერ გაიმარჯვა?

თქვენ კი ვერ აღიქვამთ, მაგრამ ქალია იუსტიციის მინისტრიც - რამდენი წელი ინარჩუნებს თანამდებობას, აბა?

გამოდით, რამდენს გინდათ, პარლამენტარობა - დაგთვალოთ.

რა ქვოტა და რა ნახევარ-ნახევარი - ყველა უნდა დაწყვილდეთ? ქალზე კაცი უნდა გამოვიდეს? თუ, კაცზე ქალი?

შნაპსის წაღება არ დაგავიწყდეთ, მერე სამსახურში. რავი, 90-იანებში ორი ბიჭი თუ შნაპსს იშოვიდა - ეგრევე ორი გოგოს ძებნას იწყებდა და რაკი თქვენც წყვილდებით - ვიფიქრე დაგჭირდებოდათ. რავა ტყუილად აკრძალეთ ბუსუებიანი პრეზერვატივები.

ქალები გვინდა პარლამენტშიო. რავიცი, წინასაარჩევნოდ ზოგმა პარტიამ, ნახევარქალები და კაც-ქალები წარმოგვიდგინეთ კანდიდატებად და ეგაა ქალები პარლამენტში?

ძალადობის მსხვერპლი ქალები გვყავს კიდევ ბევრნი. ცალსახად ვემიჯნები ძალადობას. თუ ვინმეზე ძალა იხმარეს - აუცილებლად უნდა გაასაჯაროოს, უნდა უჩივლოს, უნდა დაუმტკიცოს - დახმარებაც უნდა ითხოვოს, თუ მარტოს გაუჭირდება გამკლავება.

მაგრამ, უფრომა თვალი ჩამიკრა, უფროსმა მიჩქმიტა, უფ-

როსმა ყავაზე დამპატიჟა - რა უწუ-ბუწუებია.

ბავშვობაში ბიჭი თუ თვალს ჩამიკრავდა - ენას ვუყოფდი და ვეჯღანებოდი - სინჯეთ თქვენც - იქნება და გაამართლოს.

14 წლის გახდება მალე ჩემი ბიჭი - ხშირ-ხშირად ვეკითხები: ყავს თუ არა შეყვარებული. სიხარულით ველოდები, როდის ჩაუკრავს თვალს გოგოებს, როდის დაპატიჟებს ყავაზე - ხომ არ დაგიჟდით თქვენ.

ეს როგორაა იცით? ვიღაცის ჩაკრული თვალი მოსწონთ, ვიღაცის - არა. ვიღაცის ხარჭობა უნდათ, ვიღაცის - არა. და იმ ვიღაცა უფულომ, ვისი ჩაკრული თვალიც არ მოსწონთ - მთელი ცხოვრება თვალებდაქაჩულმა უნდა იაროს - არიქა, თვალის ჩაკვრა არ მოეჩვენოთ და არაფერი დამწამონო?

ორი ირანელი გოგო დასახლდა ჩემს მეზობლად პლეხანოვზე - სამი დღე იცხოვრეს ზუსტად - იმ სამ დღეში ბოიფრეენდები გაიჩინეს და იმათ ბინებში გადავიდნენ საცხოვრებლად. ასეთი ბოიფრენდები იქაც გვყავს ირანშიო. ქმარი რა ჯანდაბად გვინდა - აქოთებული წინდები უნდა ვურეცხოთ და ხან ლანჩს მოგთხოვენ, ხან ყავას და ჩაის, ახლა კი, მე თავად ვთხოვ ამას: - სადაა ჩემი ლანჩი, სადაა ჩემი ყავა, სადაა ჩემი სექსი...

რავიცი აბა, სადაა ჩემი ლანჩი, სადაა ჩემი ყავა, სადაა ჩემი სექსი... - გაბნეულია სადღაც კოსმოსში.

მარტო ჩემს წინდებს ვრეცხავ ჩემს პატარა საკანში:

„ის საკანია,
როცა მარტო ვარ,
სახლად იქცევა,
როცა ორნი ვართ“.

განა ცხოვრება ლანჩი, სექსი და ყავაა? განა ცხოვრება მანქანა და ბაითია? სიცოცხლის ბოლო წუთებში მხოლოდ ბედნიერი წუთები და ლამაზი ემოციები გახსენდება ადამიანს, სიცოცხლის ბოლომდე, მხოლოდ ახლობელი ადამიანები მოგყვება, გინდ ფიზიკურად, გინდ სულიერად.

თუ თანამედროვე ცხოვრება ლანჩისთვის, ყავისთვის, მანქანისთვის სექსია, თუ თანამედროვე ცხოვრებაში ბიჭმა გოგოს თვალი არ უნდა ჩაუკრას და ყვავილები არ უნდა აჩუქოს, თუ თანამედროვე ცხოვრებაში ზემოდანაც და ქვემოდანაც ქალი უნდა იყოს და სანთელი დაკოდილ, ენით კი არა, მართლა დაკოდილ კაცს უნდა ეჭიროს - იყოს, ჩავრჩები მე აქ - ძველში, გაცრეცილში.

კიდევ ხარჭობა და ქალ-კაცობა გვინდა ჩვენ? რას მარგია მე - ირანელის და თურქის წახედულობა - ეგენი ათასჯერ ჩემზე მეტნი არიან მაინც. ეს მე ვარ დარჩენილი ორი კინკილა, ეს მე მემუქრება გადაშენება.

მოკლედ, ქალი მინდა ქალად, კაცი - კაცად, ბავშვი - ბავშვად, მოხუცი - მოხუცად. ოჯახი მინდა - ქალი და კაცის, ოჯახი მინდა ბავშვით და მოხუცით. ხოდა, იკაცეთ და იქალეთ, ძალად კი არა, მიბაძვით კი არა, ხარჭად კი არა, შიშით კი არა, მონად კი არა - მართლა და გულით!

და თუ არ არის მოდაში დღეს კაცს - კაცი ერქვას და ქალს - ქალი - დაე, ვიყოთ გოიმები.

აჰა, გოიმი ვარ მე და მშვენივრად ვგძნობ თავს!

გოიმი ვარ და მჯერა:
„ამ გზით თუ წახვალ -
მზეს შეეყრები,
იმ გზაზე -
სახლი უდგას იუდას“.

555 46 08 04

ცხოვრების არსი იმაშია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ეძებო ცხოვრების არსი

ჩვენ იშვიათად ვუფიქრდებით იმას თუ რა აზრი აქვს ჩვენს სიცოცხლეს, რამდენად უნდოდა ყველაფერი ეს ღმერთს, რატომა ვართ ამქვეყნად, რა შეგვიძლია მივცეთ სამყაროს და ირგვლივ მყოფებს, სამაგიეროდ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება ვიკითხოთ თუ რატომ ვაკეთებთ იმას რასაც ვაკეთებთ და რისი მოტანა შეუძლია ჩვენთვის იმას რასაც ვაკეთებთ. არც ერთი კითხვა არაა უმნიშვნელო ვინაიდან ისინი გვაფიქრებენ იმაზე თუ როგორ უნდა მივცეთ აზრი ჩვენს ცხოვრებას. მაგრამ ჯერ უნდა დავფიქრდეთ იმაზე თუ რითია სასარგებლო კითხვის დასმა ცხოვრების მნიშვნელობის შესახებ. ცხოვრების აზრზე და მნიშვნელობაზე დაფიქ-



რება ნამდვილად არაა ყოველდღიური საქმიანობა. ამაზე ადამიანი დაფიქრდება გარკვეულ დროს. მაშინ როდესაც ის განიცდის მძიმე წუთებს. სიცოცხლის, ცხოვრების აზრზე დაფიქრება დამახასიათებელია კრიზისის მომენტებისთვის. ყველანაირი კრიზისი ადამიანს აფიქრებს მისი არსებობის აზრის შესახებ. ისეთ განვითარებულ და ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ქვეყნებშიც როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია რელიგიას უკავია ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი. ნებისმიერი რელიგიის მიმდევარისთვის ღმერთი არის მორალური ნუგეშისმცემელი, სირთულეების შემთხვევაში უღალატო დამხმარე. ბევრისთვის რელიგია არის დასაცავი და პატივსაცემი წესების ერთობლიობა. მაგრამ ყველასთვის ღმერთი არის პასუხი გაჩენილ კითხვებზე. მეცნიერებას უჭირს პასუხის გაცემა კითხვებზე თუ საიდანაა ადამიანი და რატომაა ის დედამიწაზე, არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ…რელიგია პასუხობს ამ კითხვებს. ზოგი გამოკვლევის თანახმად მორწმუნეები უფრო დიდხანს ცხოვრობენ და უფრო ჯანმრთელები არიან ვიდრე ურწმუნოები. ამავე დროს, მორწმუნეები ურწმენოებზე უფრო ბედნიერ ადამიანებად უნდა გრძნობდნენ თავს. ამას შეიძლება ხელს უწყობდეს ისიც რომ რელიგია იძლევა სტიმულს სოციალური ურთიერთობების განვითარებისთვის. ურწმუნოს თავისუფლება ისაა რომ მას არ სჭირდება ღმერთის დახმარება ცხოვრების აზრის საპოვნელად. და სწორედ ამიტომაა რომ არსებობის, ცხოვრების აზრზე და მნიშვნელობაზე სულ უფრო და უფრო ფიქრობენ სწორედ იმ საზოგადოებებში რომლებშიც კლებულობს მორწმუნეთა რაოდენობა. ადამიანს იშვიათად რჩება თავისუფალი დრო და ის ამ დროსაც დაკარგულ, უნაყოფოდ დაკარგულ დროდ აღიქვამს. ეს სტრესი კი გამოჰყოფს სხვადასხვა ორგანოებისთვის, მაგალითად გულისთვის მავნებელ ჰორმონებს და არღვევს ჩვენს ფსიქოლოგიურ წონასწორობას. ჩვენ აღარ გვაქვს ფიქრის და არსებითი კითხვების დასმის დრო. ჩვენ მხოლოდ ვახდენთ რეაქციას მოვლენებზე და დაუფიქრებლად ვიქცევით. ამ არეულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანია უმთავრესის დანახვა, დადგენა იმისა რაც მეტ მნიშვნელობას და აზრს აძლევს ჩვენს არსებობას. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, მეტი ფულის შოვნაა ჩვენთვის უფრო მთავარი თუ ჩვენს შვილებთან ოცდაათი წუთით მეტი ურთიერთობა და ვართ თუ არა მზად ამისთვის გარკვეული მსხვერპლის გასაღებად… სავალდებულოა მხოლოდ ის, რაც გვეხმარება წინსვლაში, რაც აძლიერებს და ზრდის ჩვენს ადამიანობას, რაც გვზრდის როგორც პიროვნებას.

ნევროლოგიის და ფსიქიატრიის პროფესორმა, ვიქტორ ფრანკლიმ შექმნა ფსიქოთერაპევტული მიმდინარეობა ლოგოთერაპია (ბერძნული სიტყვიდან ლოგოს-გონება). მისი წიგნი გადმოსცემს მის მიერ ბანაკებში მიღებულ გამოცდილებას და მის აზრებს დეპორტაციის დროს. ეს ბევრი რამის მთქმელი წიგნია. ვიქტორ ფრანკლმა საკონცენტრაციო ბანაკებში დაკარგა მთელი თავისი ოჯახი… ამ გამოცდილებიდან დაიბადა ცხოვრების აზრზე და მნიშვნელობაზე და ცხოვრების დაკარგული აზრის და მნიშვნელობის აღდგენაზე დაფუძნებული თერაპია. ფრანკლის თქმით ადამიანის არსია ცხოვრების, მისი არსებობის აზრის და მნიშვნელობის ძიება. ფრანკლის თქმით ადამიანი მუდამ ეძებს იმას რაც უფრო დიდია მასზე, ადამიანზე, ადამიანს სჭირდება მასზე უფრო დიდი რამის მონახვა. მიუხედავად ამისა ბევრი ადამიანი არ აკეთებს ამას და ისინი იკარგებიან დიდების, ფულის, ძალაუფლების მოხვეჭის მცდელობაში. ლოგოთერაპია ფრანკლის თანახმად ეფუძნება იმ ფაქტს რომ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ აზრზე და მნიშვნელობაზე რასაც ის აძლევს თავის ცხოვრებას. მაგალითად პატიმრების ცხოვრების აზრია ტანჯვაშიც ღირსეულ ადამიანებად დარჩენა. ისინი უნდა გაუფრთხილდნენ მათში არსებულ ადამიანურ და ღვთაებრივ ნაპერწკალს. დეპრესიათა უმრავლესობის მიზეზია ცხოვრების აზრის და მნიშვნელობის ნაკლებობა და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებელია ამ აზრის და მნიშვნელობის აღდგენა ან დადგენა.

მისი თქმით ყოველ ადამიანს ყოველთვის შეუძლია მისი ცხოვრებისთვის აზრის და მნიშვნელობის შერჩევა. ეს თერაპია, გულისხმობს პასუხისმგებლობის და თავისუფლების ცნებებსაც. ექიმთან ერთად ყოველი პაციენტიც არის პასუხისმგებელი მკურნალობაზე და განკურნებაზე…ფრანკლის აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პატიებას. რომ პატიება არის საჩუქარი თუნდაც უღირსისთვის და ეს ამდიდრებს იმას ვინც იჩენს გულუხვობას და ჩუქნის, პატიებს…გაუსაძლის პირობებში ფსიქოლოგიური სიჯანსაღის შესანარჩუნებლად, პირველ რიგში, საჭიროა გქონდეს მიზანი. ფრანკლის მიზანი იყო სხვა პატიმრების გადარჩენა თვითმკვლელობისგან. იმ გაუსაძლის პირობებში ბევრი კარგავდა სულიერ სიმტკიცეს, ვიქტორ ფრანკლი კი ეხმარებოდა, დაენახათ თავიანთი ამქვეყნიური საჭიროება და ცხოვრება გაეგრძელებინათ თუნდაც საყვარელი ადამიანების გამო. გარდა ამისა, განვეითარებინათ რეალობის ადეკვატური აზროვნება — გამოერკვიათ, თუ რას მოელოდა გარემო მისგან, და შესაბამისად მოქცეულიყვნენ. საკონცენტრაციო ბანაკის პირობებს უძლებდნენ ისინიც, ვინც საკუთარ თავში პოულობდნენ ძალას, სუსხიანი ყინვების დროს დათოვლილი გარემოს მშვენიერება დაენახათ, ან წარმოედგინათ საკუთარი ცხოვრება გათავისუფლების შემდეგ. ფრანკლი წერდა - „უკანასკნელი რამ, რისი წართმევაც ჩემთვის არავის შეუძლია ესაა ჩემი არჩევანი — როგორი რეაქცია მექნება გარემოს გამოწვევებზე. ადამიანის უკანასკნელი თავისუფლება მოცემულ სიტუაციაში საკუთარი დამოკიდებულების არჩევაა. ესაა მწუხარების ჩანაცვლება სიხარულით, სასოწარკვეთისა — იმედით. არც ერთი პიროვნების ქცევას არ განაპირობებს მხოლოდ გარემოებები. მის ქცევას განსაზღვრავს არჩევანი ის არჩევანი, რომელიც ყველა ცოცხალ ადამიანს გააჩნია. ძალიან საინტერესოა ფრანკლის 1972 წელს წელს წაკითხული ლექცია მოტივაციასა და ცხოვრების აზრზე (რომელიც შეგიძლიათ იხილოთ იუთუბზე)იგი ამბობს-ევროპაში ნებისმიერ ამერიკელ სტუდენტს მით უფრო ზრდსრულ ამერიკელს, უყურებენ, როგორც ადამიანს, რომელსაც სურს იშოვოს დიდი ფული. სინამდვილეში კი სტუდენტების მხოლოდ 16% მიიჩნევს მთავარ პრობლემად და ცხოვრების ამოცანად მაღალ ანაზღაურებას, სიტყვასიტყვით რომ გავიმეორო, ცოტა ფულის შოვნას… მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან კატეგორიას ამერიკელი სტუდენტების 78% აწუხებს, როგორც თვითონ აღნიშნეს, იპოვონ ცხოვრების აზრი და მიზანი. და ეს არის რეალისტური შეხედულება კაცობრიობაზე. იცით, თქვენ ახლა არ დამიჯერებთ, არ დამიჯერებთ, რომ მე, მიუხედავად ჩემი ჭაღარისა და ასაკისა, ახლახან დავიწყე თვითმფრინავის პილოტირების გაკვეთილებზე სიარული. იცით რა მითხრა ჩემმა ინსტრუქტორმა? თუ თქვენ გამოფრინდით იქედან და გინდათ მიაღწიოთ აქ, ამ წერტილს, აღმოსავლეთში, მაგრამ უბერავს გვერდითი ჩრდილოეთის ქარი, ის გადაგახვევინებთ და თქვენ დაფრინდებით სხვაგან, ამიტომ არსებობს პილოტებში გამოთქმა ფრენა დაქანებით. კურსი უნდა აიღოთ სასურველი აეროდრომიდან ჩრდილოეთით და იფრინოთ, თითქოს თქვენი მიზანია იმ მიმართულებით ფრენა. თუ თქვენ ასე მოიქცევით, სასურველ აეროდრომს მიაღწევთ, მაგრამ თუ აეროდრომის მიმართულებით გაფრინდებით, დაეშვებით მისგან სამხრეთით.

დღეს, რიგი მიზეზებიდან გამომდინარე, საზოგადოების დიდ ნაწილს განსაკუთრებით ჭირდება ფსიქოთერაპევტის დახმარება, მაგრამ ფსიქოთერაპევტი თუ განსაკუთრებული ადამიანი არ არის, არ გაუვლია დამარცხება, არ იცის ტანჯვის ფასი, დანაკარგის მნიშვნელობა და ერთხელ მაინც არ უპოვნია გამოსავალი საკუთარი ადამიანური სიღრმის დახმარებით და არ იცნობს ცხოვრებას მხოლოდ სპეციალური განათლების მიღებით, სამწუხაროდ, სხვა ადამიანს ვერ დაეხმარება. სოციალურ ქსელში „ფსიქოლოგიის კურსებგავლილმა“ ჩემმა ახლობელმა ასეთი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა - „ვფიქრობდი ქოუჩებზე, ასე ვთქვათ, ფსიქოტრენერებზე, ანუ მწვრთნელებზე, რომლებიც დატანჯულ, ტრავმირებულ, ან უიმედო ადამიანებს ასწავლიან(!), თუ როგორ გახდნენ ლაღები და ბედნიერები. პარადოქსულია, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ტრენერებიდან ერთი-ორმა თავი მოიკლა, რომელიღაცას აგრესია მოეძალა და ხალხზე თავდასხმა დაიწყო, ვიღაც კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა! მათ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ სასხვისოდ, არამედ სათავისოდაც იცოდნენ როგორ უნდა „გაასწორო ფოკუსი“ პოზიტიურ ფაქტორებზე, იცოდნენ ე.წ. „ლაიფჰაკები“ და „მატრიცები“, რომლებიც ისე მოქმედებს, როგორც ფინჯნისათვის ყურზე ხელის მოკიდება და შემოტრიალება. თუმცა, ეს „პრაქტიკები“ მხოლოდ გარკვეული ეტაპის გავლის შემდეგ იწყებს ჯერ განწყობაზე აქცენტების დასმას და მერე შედეგზე გასვლას“.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ძლიერი რეგიონები

გურჯაანი – სასტუმრო „ახაშენი ღვინის კურორტი“ გაიხსნა

გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, DCFTA-სა (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პროექტი) და „საქართველოს ბანკის“ თანადაფინანსებით აშენდა Akhasheni Wine Resort. იგი ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებში ქართული ღვინის უძველეს, 8000-წლოვან ისტორიას გაუწევს პოპულარიზაციას.

ახალი ტურისტული კომპლექსის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა:

„დღეს ძალიან სასიხარულო დღეა. ჩვენს ქვეყანას, კონკრეტულად კახეთს შეემატა თანამედროვე ინფრასტრუქტურით გაწყობილი ულამაზესი სასტუმრო, რომელშიც 7 მილიონ 500 ათასი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ერთობლივად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ.

პრემიერ-მინისტრმა „კახურ ტრადიციულ მეღვინეობას“ (KTW) და პირადად ზურაბ ჩხაიძეს მადლობა გადაუხადა მეევნახეობის მიმართულებით განხორციელებული მასშტაბური ინვესტიციებისთვის და კომპანიის დამფუძნებლების მოღვაწეობა მამულიშვილურ საქმედ შეაფასა.

„სასიხარულოა, რომ კახეთში ტურიზმი გადადის თვისებრივად ახალ განზომილებაში. მოთხოვნა ასეთი ტიპის სასტუმრო კომპლექსებზე ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. გასული წლის განმავლობაში 28 პროცენტით მოიმატა ტურისტების რიცხვმა. ნამდვილად გვაქვს იმის პოტენციალი, რომ 2025 წლამდე გავასამმაგოთ ტურისტების რაოდენობა საქართველოში. შეგვიძლია ეს რიცხვი 10 მილიონამდე გავზარდოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მართლაცდა სრულიად სხვა ცხოვრების დონე მივიღოთ საქართველოში, მნიშვნელოვნად გაიზარდოს დასაქმების დონე და ქვეყნის ვიზუალური სახეც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს“, – აღნიშნა პრემიერმა.

„თუშეთი და კახეთი არ შეიძლება ცალ-ცალკე განვიხილოთ. მნიშვნელოვანია ის ინვესტიციები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს ამ მიმართულებით. თუშეთში შენდება ახალი გზა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ თბილისიდან სამჯერ შევამციროთ ავტომობილით მგზავრობის ხანგრძლივობა თუშეთის მიმართულებით. ეს ყველაფერი ერთიანობაში მოიტანს გაცილებით უფრო მაღალ დინამიკას და, რა თქმა უნდა, ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ამ რეგიონში. ვფიქრობ, მივედით იმ ეტაპამდე, როდესაც კახეთს სჭირდება ცალკე აეროპორტი. ისევ და ისევ კერძო სექტორთან პარტნიორობით ჩვენ შევძლებთ, რომ პირველ ეტაპზე კახეთში განხორციელდეს პირდაპირი ჩარტერული რეისები, შემდგომში შესაძლოა, რეგულარული რეისებიც დაინიშნოს“, – განუცხადა შეკრებილებს გიორგი კვირიკაშვილმა.

თეთრიწყარო – მდინარე ხრამის მართვის გეგმა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის“ – ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პროექტის წარმომადგენლების მონაწილეობთ, პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

პროექტი მიზნად ისახავს წყლის რესურსების, კერძოდ, ტრანსსასაზღვრო მდინარეების, მათ შორის მდინარე ხრამის აუზის მართვის გეგმის შემუშავებას და წყლის ხარისხის ამაღლებისთვის საჭირო გრძელვადიანი ინსტრუმენტების შექმნას.

შეხვედრაზე განიხილეს საკვლევი წყლის ობიექტის შესწავლის მიზნით სამომავლოდ განსახორციელებელი კონკრეტული სამუშაოები, რაც პირველ ეტაპზე გულისხმობს არსებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. მოკვლეული მასალის საფუძველზე დაზუსტდება წყლის ეკოსისტემებისთვის საფრთხის შემცველი პრობლემები და მოიძებნება მათი გადაჭრის გზები.

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს საპილოტე მდინარეთა აუზების მართვის 6-წლიან სამოქმედო გეგმას. სამუშაოების პირველი ეტაპი ზაფხულის პერიოდში დაიწყება.

„ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის“ პროექტი მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს წყლის რესურსების მართვის სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებაში, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპების შესაბამისად.

შეხვედრას ესწრებოდნენ: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მალხაზ სამაშვილი, მერის მოადგილე ბერდია ხვისტანი, პროექტის კოორდინატორები და ექსპერტები, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლები.

წყლის რესურსების საერთაშორისო დღეს ბოლნისიც შეუერთდა

დასუფთავების კამპანია „ლურჯი ნაკადული“, რომელიც საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების ინიციატივით ტარდება, ბოლნისშიც გაიმართა და ნარჩენებისგან გაიწმინდა სოფელ მუშევანის ხევი. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ მერიის თანამშრომლებთან და შპს „კომუნალური მეურნეობის“ წარმომადგენლებთან ერთად მიიღო.

„უკვე მე-7 წელია საქართველოში მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით იმართება კამპანია „ლურჯი ნაკადული“, რომელიც წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს ეძღვნება. ბოლნისის მუნიციპალიტეტი წელსაც მოხალისეობრივად ჩაერთო ამ წამოწყებაში და მერიის თანამშრომლებმა კომუნალური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ მუშევანის ხევი დავასუფთავეთ.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად ატარებს დასუფთავების მასშტაბურ აქციებს და წელსაც, წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით დასუფთავდა მუნიციპალიტეტი“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ბუბა გობეჯიშვილმა.

ლაგოდეხი – შეხვედრა კახეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებთან

მუნიციპალიტეტის მერი სსიპ კახეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრის დასაქმების თანამშრომლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო სერვისების გაცნობისა და გაუმჯობესების მიზნით გაიმართა. ცენტრის თანამშრომლებმა ვრცლად ისაუბრეს სტაჟირების, სუბსიდირების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტოს ძირითადი მიზანია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, მოქნილ, მარტივ და სწრაფ, მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმებზე გადაყვანა.

ჯონდო მდივნიშვილის ინიციატივით, სახელმწიფო სერვისების უკეთესად გაცნობისა და ინფორმირებულობის მიზნით, ადგილობრივ მეწარმეებთან და ბიზნესმენებთან შეხვედრა უახლოეს დღეებში გაიმართება.

სიღნაღი – დაძმობილებული ქალაქების ქარტია მოზარდების განათლებასაც უწყობს ხელს

2015 წელს ქალაქ სიღნაღსა და საფრანგეთის ქალაქ შატონეფს შორის დაძმობილების ქარტია გაფორმდა. ადვოკატისა და მეცენატის ბატონ ჟერარ ჟერმანის ინიციატივით, შატონეფისა და სიღნაღის დასაახლოებლად დაიგეგმა არაერთი ვიზიტი, კულტურული და სხვადასხვა სახის გაცვლითი ღონისძიებები. სწორედ ამ ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგის საჯარო სკოლაში, სადაც ფრანგული ენა ისწავლება, skype-ის საშუალებით V–VI კლასებთან პირველი ღია გაკვეთილი ჩატარდა. საფრანგეთიდან მეცადინეობას პროფესორი ჟისლენი უძღვებოდა.

საფრანგეთიდან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად გაკვეთილს ესწრებოდნენ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ხატიაშვილი, მერი გიორგი გოგილაშვილი, რესურსცენტრის უფროსი ლია ბეჟაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

პროგრამის ფარგლებში ბავშვები კვლავაც მიიწვიეს შატონეფში ფრანგულ მასტერკლასში მონაწილეობის მისაღებად. ეს გაკვეთილები ხელს შეუწყობს ფრანგული ენის ცოდნის განმტკიცებას.

ძლიერი საქართველოსთვის

ჩხოროწყუ

ჩხოროწყუ – სოფელ ლესიჭინეში ახალი ხიდი შენდება

სოფელ ლესიჭინეში, მდინარე ოჩხომურზე, ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. ხიდის სიგრძე 170, ხოლო, სიგანე 11 მეტრია. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 6 577 834 ლარით ფინანსდება. ამ ეტაპზე ძველ ხიდზე როგორც ქვეითი, ისე საავტომობილი მოძრაობა შეზღუდული არ არის, ახალი ხიდის მშენებლობის დასრულების შემდგომ კი მისი დემონტაჟი იგეგმება.

ჩოხატაური „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობის რეაბილიტაციისთვის“

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, შესაბამისი სამსახურებისა და საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში იმყოფებოდნენ.

„განავითარე შენი რეგიონი“ დუშეთში

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს სტუდენტური პარლამენტის პროექტი „განავითარე შენი რეგიონი“, რომელიც სოციალური პროგრამის ნაწილია და ემსახურება მუნიციპალიტეტების განვითარების პროცესში ახალგაზრდების მაქსიმალურ მონაწილეობას ისეთი მეთოდებით, როგორიცაა არაფორმალური განათლების ლექციები, ბანაკები, საჯარო ბრაინსტორმინგები, ლიდერთა სკოლები და ა.შ.

ახალი ჭაბურღილი ბულაჩაურში

ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ბულაჩაურში მოწყობილი ახალი ჭაბურღილი ექსპლუატაციაში შევიდა. წყლის სისტემის სარეაბილიტაციო პროექტი დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაცია LDS-CHARITIES-ის დაფინანსებით განხორციელდა. ახალი ჭაბურღილის ამოქმედებით 250-მდე ოჯახი სასმელი წყლით არის უზრუნველყოფილი.

უახლოეს მომავალში ჭაბურღილის მოეწყობა სოფელ ქუბრიაანთკარშიც. პროექტის დასრულების შემდგომ სასმელი წყლით 200-მდე ოჯახი მომარაგდება.

ზუგდიდი – საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი ტყაიაში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტყაიას ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი დაიწყო. ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიამ მერიაში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მესამე ეტაპის მიმდინარეობისას რეაბილიტირდება 334 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის გზა. დაიგება ბეტონის საფარი, აღდგება სანიაღვრე არხებიც.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 185 560 ლარია.

ტყაიაში 2015 წელს 980 მეტრი სიგრძის გზა, 2016 წელს კი 820 მეტრი გზა რეაბილიტირდა.

შეხვედრაზე ლაშა გოგიამ აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან ერთად, ერთობლივი ძალებით ამ პრობლემას აქტიურად შეებრძოლებიან, ამისთვის კი მოსახლეობის დროული ინფორმირება და აქტიური მუშაობაა საჭირო.

ფოთის სასწრაფო დახმარების სამსახური ყველაზე სწრაფად რეაგირებს

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის აუდიტის დასკვნის მიხედვით, მუნიციპალიტეტებს შორის ფოთის სასწრაფო დახმარების სამსახური ყველაზე სწრაფად რეაგირებს – მაღალი პრიორიტეტის შემთხვევაში გამოძახების საშუალო დრო 8 წუთს შეადგენს, ხოლო გამოძახებათა 68 პროცენტში სასწრაფოს რეაგირების დრო ხშირად 8 წუთზე ნაკლებია.

სენაკი – სანიაღვრე არხების ამოწმენდა გრძელდება

ქალაქ სენაკში, გამსახურდიასა და თეფანიას ქუჩების კვეთაზე შლამისა და ინერტული მასალისგან იწმინდება სანიაღვრე არხი. ასეთივე სამუშაოები მიმდინარეობს ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, საგადელიოს უბანში.

წყლის საერთაშორისო დღე ადიგენში

აქციის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტში მდინარის ნაპირები საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა. დასუფთავდა დაბა ადიგენის და აბასთუმანის ქუჩები, სოფლების, საავადმყოფოს, საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიები. გარემოსდაცვით ღონისძიებებში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ააიპ-ების, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, საავადმყოფოს, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების წარმომადგენლები.

პროექტი საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით ხორციელდება, რომელიც მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირების დასუფთავებაზეა ორიენტირებული.

მარტვილი – მერი გურძემისა და კიწიის მოსახლეობას შეხვდა

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა მერის წარმომადგენლებთან და მაჟორიტარებთან ერთად გურძემისა და კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და მათს პრობლემებს გაეცნო. შეხვედრაზე მოსახლეობის პრიორიტეტად შიდა გზების რეაბილიტაცია, გარეგანათება და გაზიფიცირება დასახელდა.

მარტვილი

ალექსანდრე გრიგალავამ მოსახლეობას გააცნო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდება, ასევე ისაუბრა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაზე და უპასუხა მოქალაქეთა შეკითხვებს.

მოსახლეობასთან შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართება.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს ინფორმაციას!

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ, რომ სტუდენტებისთვის, ვეტერანებისა და დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის უფასოდ მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი: დმანისი-თბილისი, თბილისი-დმანისის მიმართულებით, კვირაში ორი დღე, ორშაბათსა და პარასკევს.

მუნიციპალური ტრანსპორტი ორშაბათს დმანისის მუნიციპალიტეტის ავტოსადგურიდან გადის დილის 9 საათზე, ხოლო პარასკევ საღამოს ქალაქ თბილისის მეტროსადგურ „სამგორის“ მიმდებარე ტერიტორიიდან გამოდის 15 საათზე.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების ნაწილი გაიყიდა

ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვის მიზნით მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილები, რომლებიც ადგილობრივ თვითმმართველობას ემსახურებოდა, აუქციონის წესით გაიყიდა.

მარნეულის მუნიცალიტეტის საკუთრებაში არსებული 55 მანქანიდან 26 აუქციონზე გავიდა, საიდანაც 23 გაყიდულია. აღსანიშნავია, რომ გაყიდული მანქანები ტექნიკური თვალსაზრისით გაუმართავი და ამორტიზრებული იყო, რომელთა მოვლა-შენახვის ხარჯი წელიწადში 70 000 ლარზე მეტს შეადგენდა.

გაყიდული მანქანებიდან შემოსული თანხით კი იგეგმება მხოლოდ 5 ავტომობილის შეძენა, რომლებიც შედარებით ეკონომიურია და ეკოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად აბინძურებს გარემოს.

ზუგდიდი

„პოეზიაზე გადანაზარდი არტისტი“

...როდესაც ჩვენ ქართველ ქალზე და მის პოეზიასა და ხელოვნებაზე ვწერთ, ბევრი რამ უნდა გვახსოვდეს და გვიხაროდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალის გრაცია და პოეზია ავსებენ ერთმანეთს.

ჩვენ უნდა გვიხაროდეს და შეგვეძლოს წერა ჩვენს მანდილოსნებზე, ქართველ ქალებზე: არტისტებზე, მსახიობებზე, მოჭადრაკეებზე და მით უფრო პოეტებზე, მათ სინატიფესა და სილამაზეზე, არა „ბუებზე“ და ამპარტავნებზე, არამედ ისეთებზე, სხვისი პოეზიითაც რომ სახიობენ და თვითონაც პოეზიად, პოეტებად იქცევიან.

სწორედ ელდინო ძაგანიშვილი-საღარაძის პერსონა მკარნახობს ამ სიტყვებს... მისმა ლექსებმა ახალი ნიჭის დაბადების სიხარული განმაცდევინა. მინდა ვქვა: დიდი პოეზია კაცმა უნდა შვას: რუსთაველმა, ვაჟა ფშაველამ, ჰომეროსმა, — მასში „სამყაროს“ ჩასახვის ემოცია უნდა ჟღერდეს. ქალმა უნდა შვას შვილი და მერე ლექსი, რომელიც შვილის შობის ბადალი იქნება. ამ განცდის გარეშე ვერ შეიქმნება პოეზია.

ელდინო თითქოს არ წერდა ლექსებს, მაგრამ დაწერა და თითქოს გაიმეორა: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს!“ და ეს „პოეზიაზე გადანაზარდი არტისტი“ მართლაც პოეტად იქცა...

კობა არაბული

ელდინო საღარაძე

პრეისტორია

ზურაბ კიკნაძეს

მახსოვს, მაჩუქა ზეცამ
ხედვა სამანთა მიღმა.
შენში მბორგავი სული
უხსოვარ დროშიც ვიყავ.
ღვთისშვილთა ციხეს ვიდექ,
გერგეტს ვაგებდი ფიქრში.
ის დღეც კი მახსოვს, როცა
უფლის სიტყვიდან ვიშვი.
მე ვარქვი სახელები
წმინდა ლაშარს და გუდანს,
მე გავუსწორე თვალი
ამაზრზენ სულთამხუთავს.
მეც იქ ვიყავი მაშინ,
კვრივთა სიწმინდეს ვთლიდი,
როცა შეუყვა აღმართს
მკადრეთა გრძელი რიგი.
წმინდა ჯვარჩენა ეს მე
წამოვაფრინე მტრედად,
ცას ოქროსფერი შიბით
იორდანეს მზე ება
და შეგონებით უფლის,
რა ირაონი ვხაზე!
აქ აფრენილი მტრედი
დააჯდა ქრისტეს მხარზე.

შენ დაგავიწყდა...

შენ დაგავიწყდა,
ატარებდი ბეჭზე მზის ნიშანს,
დიდ მდინარეებს
ფეხით გადად-გადმოდიოდი,
ნათელს გადგამდა ანგელოსი
შუბლის ზარნიშად,
შენთა ფერხთა ქვეშ ნედლდებოდა
ხორშაკ-ხრიოკი.
მწყემსავდი ფარებს,
საწმისებად გადასაქცევებს
და აიეტი დაგყვებოდა —
პატარა ბავშვი,
ევფრატში ნიმფა ჭყუმპალობდა —
ხვალის მედეა,
მესაიდუმლე ყვავილების
ტალღებზე თმაშლით.
ყოველდღე აღმართს ადიოდი
მზისფერ ღმერთამდე,
მწუხრზე ბრძენ ღრუბლებს
ასცქეროდი:
„ნეტავ, გაწვიმდეს!“
და პირენეის მწვერვალთაგან
ინდოეთამდე
ესიზმრებოდი შეყვარებულ
ველთა ნარცისებს.
შენი ქალდეას ანკარა და
ბრძენი მინდვრები
სალამს უთვლიდნენ მინდვრებს
მამაც იბერიელთა,
შენ ამშვიდებდი ამბოხებულს,
სფინქსის გულისთქმას
და ჟამს ხედნიდი
ახალშობილ პირამიდებთან.
... მერე ამირანს უშუშებდი
დაფლეთილ სიზმრებს,
... მერე საწმისთა უბედობა-
ბედი გტკიოდა
და მე ვტიროდი, თანამდევი
ქართული სული,
წამოყოლილი უფლის ბაღის
ხეთა გრილოდან.
შენ ხმალს იქნევდი, სისხლს ანთხევდი,
ცოტავდებოდი,
ენა გეკვროდა დაშაშრული
გამხმარ სასაზე
და ნილოსის წყლით ნარწყულები
შენი ცხენები,
ქანცგაწყვეტილნი ჭენებისგან,
ყლუპად მტკვარს სვამდნენ.
თითქოს მეორედ მიჯახუნდა
სამოთხის კარი
და ჟამი ჩაწვა — გველეშაპი
დახშულ კარებთან,
დაწვრილვარსკვლავდა შენს
თავს ზემოთ
ჩახჩახა თაღი,
დღე ჩამზევდა და ღამე აღარ
ამომთვარევდა.
ღმერთი სამსახა და სამი მზე —
სამი ანბანი,
სამი ფრთა ჯვარზე,
სამთა გმირთა ბრძენი ამბავი,
ხელთ გეპყრა ზეცით და იგრძენი —
უნდა გეზიდა!
მითწამოსხმული ცრემლს იწმენდდა
მალვით იზიდა...
მე ღმერთთან ერთად შევიყუჟე
შენს სამოთხეში,
დაყირავებულ ხეს დაჰყევ და
ისევ მიპოვი,
მე არ მოვმკვდარვარ! მივიძინე
და ვისასთუმლე
ადამის სულის დაშლის დიდი
ქორონიკონი.

მაინც ვერ გახდა უკეთესი

რა აღარ სცადა: ბუდა, კრიშნა,
ბჰაგავატგიტა...
ერთხანს მზემდეც კი ზეაზიდა
მზერა — იზიდა.
როგორც კი იგრძნო არსთა არსი —
მარადისობა,
მარადიულად რომ ეცოცხლა,
სიკვდილი შობა.
სინაგოგები, მეჩეთები
ცას შეჰყმუიან,
მეტანიების ხან „ვაია“
ხანაც „ვუია“,
ხელთ ჯვარი ეპყრა, ფართო მკერდზეც
ეკიდა ჯვარი,
„არა ჰკლა“ მაინც ჩაესმოდა
როგორც „მოჰკალი!“
აღმა მდინარეს დაღმა დენა
უქცია წესად,
ხან აშენა და ხან ანგრია,
ხან ხნა, ხან თესა.
ევერესტები უჩოქებენ არრის დამრიდეს,
თავის ჭკუაზე დაასწავლა
ცეკვა ამინდებს.
ქრისტეც იჩუქა, ნათლის წვიმა —
სახემზიანი,
მაინც ვერ გახდა უკეთესი
ადამიანი!

საკუთარ „მეს“

ხმათა ახალ გუნდებს მაშინ წამოაფრენ,
როცა შეიწყნარებ მოწყლულ ხმებს,
წყაროს წყლის გემოს მაშინ იგრძნობ,
როცა დააცდი, რომ მოგწყურდეს.
სიცოცხლე სიკვდილს რომ ძმად ერგება,
თუ დაფიქრებულხარ აქამდე?!
დიდი გათენება მაშინ აგენთება,
როცა შეგეძლება, დაღამდე!
როცა სისხლში ვნების კივილია,
ჩემო სულდგმავ და საესავო,
როცა სიყვარული სიკვდილია,
უნდა შეძლო და... გაეცალო!
უდაბნოს ქვიშებში მადლს თუ არიგებენ,
უნდა შეელიო კორდებს!
თუ გინდა, ხელახლა დაიბადო,
უნდა უსათუოდ მოკვდე!

თეოდეცია

გაავებული ყეფდა ხანძარი,
ამ სიცხოველეს მხოლოდ მზე იტევს,
გამრავლებოდათ ჟრჟოლა-ცახცახი
ცელსიუსებს და ფარენგეიტებს
და ხანძრის ლუკმებს კუდიანებად
ნათლავდნენ ჯვრები ისევ და ისევ,
შესაქმის გვირგვინს, ქცეულს ნაცრებად
დაღონებული უმზერდა ქრისტე.

შემომაშველე სინათლე!

სული ავივსე არაფრით,
ვთბები მთვლემარე ქარაგმით,
ჩამოვიშალე მკერდიდან
ბრილიანტების აცმა,
მზერას ვირწყულებ სმარაგდით,
სინდისს ვიმშვიდებ მარაბდით,
გადავიქციე ოცნება
რუსი დედაბრის ვარცლად.

ცოდვით მოკირწყლულ ღამეში
რა სიმაღლიდან დავეშვი!
გაზარმაცებულ ბაღებში
ყურძენს ვარჩიე თუთა,
მიტომაც, მზითევ-პატარძლით,
დავიწყებული და და ძმით,
ძლივს ნაგროვებ და ნაღვაწით
წაიპანდორა ყუთმა.

ვერ გავარჩიე მიწა-ცა,
ბერწ წელიწადებს მივნაცრავ,
ფრთით გამოვაბი ჭინჭრაქა
ლაფში ჩაძირულ ურმებს,
ველარ ვგუმანობ წინსწრებით,
მირონით ველარ ვირწყვები,
შემოვიჩვიე სიტყვები:
„ვთქვათ“, „დავუშვათ“ და „თურმე“...

დავახეიბრე მამული,
გავათავხედე კრძალული
და უბადრუკი სასრულით
უსასრულობას ველტვი,
ისევ მიბრიყვებს ზენა ფრთით,
ხანძარს ვაჩაღებ კელაპტრით,
ვერ შევაჩერე ვერაფრით
ამაოების ეტლი.

უფსკრულებს ისე დავყურებ,
ვეძებდე, თითქოს, საყურეს,
აოცებთ ველის სამყურებს
ეს უშფოთველი მოცდა...
ავრიე საცოც-საფრენი,
ხატს შევატოვე სანთელი
და ამგებელი ცადმფრენის
სულით მიწაზე ვცოცავ...

მოდი, მამავ და გამჩენო,
მინდა, შენი მზე მაჩვენო,
თორემ ქარს მიაქვს საჩემო
ანგელოსური ფრთები,
შემომეხარჯა მინდვრები,
ვერ გავიყვანე მზის კვლები
და ყოველღამე გიკვდები
მოუთმენარის თმენით...

თავზე შემახე მარჯვენი,
სანამ გამქრალა სამზერი,
სანამ გაჩენას დავწყევლი
უსინათლობით კრული,
შემომაშველე სინათლე,
სანამ გიხმე და გინატრე,
თორემ ჩაქრება დილამდე
იბერიული სული!

სტიქიური ნაგავსაყრელები საქართველოში და მისი გავლენა ეკოსისტემებზე

საყოფაცხოვრებო ნარჩენი თანამედროვე გაგებით, არ არის ადამიანისთვის გამოუდეგარი ან არასაჭირო რამ, არამედ დღეს ის გვევლინება, როგორც მეორადი გამოყენების საგანი, რომლიდანაც შეიძლება შეიქმნას მოსახლეობისათვის საჭირო მრავალი მოხმარების საგნები.

წარმოშობის მიხედვით, ნარჩენი შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად:

- ❖ სამრეწველო;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო;
- ❖ სამშენებლო;
- ❖ სამედიცინო;
- ❖ საყოფაცხოვრებო და სხვა

საშიშროების მიხედვით ნარჩენები შეიძლება დავყოთ — სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებად.

სახიფათოა ნარჩენი მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, მათი შენახვის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ან თუ შეიცავს ის იმ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის საშიში ინფექციების გავრცელების წყაროა ან ეს ნივთიერებები ცეცხლსაშიშ და ადვილად ასაფეთქებელ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ასევე სახიფათოა ნარჩენი თუ ის საშიშია და ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენი, არის ყოველივე ის, რაც გროვდება ოჯახებში, დაწესებულებებსა და ოფისებში, დასახლებულ კომპლექსებში და სხვა. მისი ფრაქციული შემადგენლობა შეიძლება დავყოთ სველ (ძირითადად საკვები პროდუქტების ნარჩენები) და მშრალ ფრაქციად.

მშრალი ფრაქციის შემადგენლობაა:

- ❖ პლასტიკა;
- ❖ მუყაო-ქაღალდი (მაკულატურა);
- ❖ შუშა;
- ❖ ქსოვილები (ძველი ტანსაცმელი);
- ❖ ელექტროსაგნები, ბატარეები, აკუმულატორები;
- ❖ რეზინის საგნები;
- ❖ ვერცხლისწყლის შემცველი ნათურები და სხვა.

საქართველოში განსაკუთრებულად მრავლადაა სტიქიური (არაკონტროლირებადი) ნაგავსაყრელები, რომლებიც ხშირად განლაგებული არიან ხევებში (განსაკუთრებით რეგიონებში), მდინარეების პირას, საძოვრების ტერიტორიებსა და დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს. აღნიშნულ ნაგავსაყრელებზე ხშირად შეეხვდებით სახიფათო ნარჩენებსაც, იმდენად, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლებიც ხასიათდებიან განსაკუთრებული ანტისანიტარიით, სამწუხაროდ, მიმზიდველი გამოდგა შინაური ცხოველებისათვის და შესაბამისად საშიში იმ მოსახლეობისათვის, რომლებიც არც თუ ისე შორს ცხოვრობენ არსებული ნაგავსაყრელების ტერიტორიებიდან. ამიტომაც, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“-ის მუშა ჯგუფის მიერ („დავასუფთაოთ საქართველო“-ს (ფაზა III) პროექტის ფარგლებში) შვედეთის მთავრობის ფინანსური დახმარებით განხორციელდა თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია, აგრეთვე ზოგიერთი მეტად თვალსაჩინო სტიქიური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები. შედეგად, პირველად ჩვენს ქვეყანაში, შესწავლილ და შეფასებულ იქნა ამ ტიპის ნაგავსაყრელების გავლენა ეკოსისტემების დაბინძურების პროცესებზე და იმ ნეგატიური ზეგავლენების დადგენა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

არსებული მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად გამოწვეულია რეგიონებში სერვისის არ არსებობის და მოსახლეობის შედარებით დაბალი ცნობიერების გამო (ეკოლოგიური განათლების ნაკლებობა). საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი აწყობილი სისტემა, რომელიც დაალაგებდა ყველა ამ პრობლემას და გახდიდა საქართველოს უფრო ევროპულ ქვეყანად. ამისათვის ალბათ საჭიროა საქართველოს მთავრობამ ჩადოს მეტი ფინანსები მოცემული პრობლემების გადაწყვეტაში და მოიზიდოს მეტი ინვესტორები.

კომპონენტები, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა შესწავლილი, ახასიათებთ და შესაბამისად არსებობენ ნაგავსაყრელების ტერიტორიებზე. ესენი არიან ზოგიერთი ბიოგენური ელემენტების ფორმები, ზოგიერთი კანცეროგენული მძიმე ლითონები, ან ისეთი აქტიური მიკრობაქტერიები, როგორებიცაა ერშერიხია კოლი (E-ცოლი), ფეკალური სტრეპტოკოკები, ტოტალური კოლიფორმები, რომლებიც გარემოში ხშირად ქმნიან ანტისანიტარულ მდგომარეობას.

როგორც მოგახსენეთ, საანალიზო ნიმუშებს (ნიადაგი, წყალი) ვიღებდით სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიებიდან, რომლებსაც ვიკვლევდით როგორც ფიზიკურ-ქიმიური, ქიმიური, ასევე მიკრობიოლოგიური კუთხით, ანუ ჩვენთვის დაინტერესებულ ობიექტებს ვსწავლობდით კომპლექსურად.

რამოდენიმე წლის მიღებულმა შედეგებმა თვალნათლივ დაგვანახეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სტიქიური ნაგავსაყრელები ხშირ შემთხვევაში აბინძურებენ მიმდებარე ტერიტორიებს, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის შინაური ცხოველებისა და რეგიონში მაცხოვრებელი მოსახლეობის ჯანმრთელობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ვიდრე მის დასავლეთ ნაწილში. კერძოდ, მძიმე ლითონებიდან ნიადაგის ნიმუშები ყველაზე დაბინძურებული აღმოჩნდა ტყვიით. ის ხშირ შემთხვევაში რამოდენიმეჯერ აჭარბებდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდკ), ასევე მძიმე ლითონებიდან თავი იჩინა სპილენძმა და თუთიამაც, თუმცა არა იმ დოზით, რასაც ადგილი ჰქონდა ტყვიის შემთხვევაში. მხოლოდ და მხოლოდ 2 შემთხვევაში აღმოჩნდა მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებული კადმიუმით, რომელიც თავისი კანცეროგენული თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება ტყვიას. არც ერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა საანალიზო ნიმუშები დაბინძურებული ვერცხლისწყლით.

მდინარის წყლის საანალიზო ნიმუშების შედეგებმა (თუკი ნაგავსაყრელი მდებარეობდა მდინარის პირას) ასევე დაგვანახეს, რომ სტიქიური ნაგავსაყრელები ხშირ შემთხვევაში აბინძურებს მდინარის წყალს და, შესაბამისად, გარკვეულ როლს თამაშობს ზედაპირული წყლების დაბინძურების პროცესებში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში როგორც ნიადაგის ასევე წყლის ნიმუშებში დაფიქსირდა E-ცოლი-ისა და ფეკალური სტრეპტოკოკების ნორმატივებზე მეტი რაოდენობები, ასევე ამონიუმის იონის მომატებული კონცენტრაციები, რაც მიანიშნებს მიმდებარე ტერიტორიების ანტისანიტარულ მდგომარეობაზე.

ჩვენს მიერ განხილული დამაბინძურებლები ნაგავსაყრელებზე შემთხვევით როდი ხვდება; ისინი სხვადასხვა პროდუქტის თუ ნივთის შემადგენლობაში შედიან და ასე აღმოჩნდებიან ხოლმე მოცემულ ობიექტებზე. ესენია — რემონტის შემდგომ დარჩენილი საღებავიანი ან რაიმე გამხსნელის შემცველი ჭურჭელი, გატეხილი ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები, წყობიდან გამოსული ეკონომიური ნათურები, ბატარეები, კონდენსატორები, საკვები ნარჩენები და მრავალი სხვა.

ბოლოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელები მნიშვნელოვნად ნეგატიურ გავლენას ავლენენ ეკოსისტემების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქვეყნის მთავრობამ (განსაკუთრებით კი ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა) მეტად უნდა იზრუნოს (მაგალითად, შესთავაზონ მეტი სერვისი) იმაზე, რომ ქვეყანაში სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლოს და რაც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ის დირექტივები და ვალდებულებები, რომლებიც იმ ევროასოცირების ხელშეკრულების შემადგენელია, რომელსაც მან ხელი მოაწერა.

ნუგზარ ბუაჩიძე
ქიმიის მეცნიერებათა
დოქტორი, გარემოს
მონიტორინგის ექსპერტი

®

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– როგორ არის დარეგულირებული კანონის მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის საკითხი?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87–89-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

– მუხლი 87. არასრულწლოვნის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;

ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები. ამასთანავე, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების მიზნებისათვის არასრულწლოვანს უფლება აქვს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების გარდა, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით შეხვდეს აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს.

4. არასრულწლოვნის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას პატიმრობის დაწესებულება და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის შეუფერხებელ კონტაქტს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

მუხლი 88. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მუხლი 89. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში დასაშვებია პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისი ან სხვა არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისათვის.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში დროებით გადაყვანისთანავე:

ა) მას უტარდება სამედიცინო შემოწმება;

ბ) კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ;

გ) მას ეძლევა უფლება, ჰქონდეს სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა.

სჰკ „კათარზისის“ 2017 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური, კაფე, ბიბლიოთეკა, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებგვერდზე, მისამართზე: **Catharsis.ge**

სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო ყოველდღიურად 310 ადამიანს ემსახურება. ის 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. მისი ძირითადი კერძებია: 1 – სალათი, 2 – წვნიანი, 3 – ბურღულეული სხვადასხვა დანამატებით, წვენი (ჩაი, კისელი, კომპოტი, კაკაო ან ლიმონათი) და პური. პერიოდულად ხანდაზმულებს ვთავაზობთ ხილს და ტკბილეულს. მთელი წლის განმავლობაში სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა.შ. დღის სადილები. ეს ორგანიზაციები ხშირად სტუმრობდნენ „კათარზისს“, მონაწილეობას იღებდნენ სადილობის პროცესის მიმდინარეობაში და ემსახურებოდნენ ხანდაზმულებს. 2017 წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 100.000-მდე მომსახურება.

სარეაბილიტაციო-სავარჯიშო სამსახური

სავარჯიშო დარბაზი მოწოდებულია დაავადებების პრევენციისათვის, სარეაბილიტაციო კი – გადატანილი სნეულებების შემდგომ (ინფაქტი, ინსულტი, ხერხემლის პათოლოგიები და ა.შ.) აღდგენისათვის. ექიმი ურჩევს ხანდაზმულებს მათი ჯანმრთელობისათვის შესატყვის ვარჯიშებს და სამკურნალო მასაჟს. პროფესიონალი მეთოდისტ-მასაჟისტი ხელმძღვანელობს სავარჯიშო დარბაზში მიმდინარე პროცესებს. სათნოების ძმები ეხმარებიან მოხუცებს რეკომენდაციების სწორად განხორციელებაში. 2017 წლის განმავლობაში ყოველდღიური მომსახურება გაეწია 2709 ხანდაზმულს. ხოლო სამასაჟო მომსახურება 528-ს.

იურიდიული სამსახური

2017 წელის ბოლოს „კათარზისში“ ფუნქციონირება დაიწყო იურიდიულმა სამსახურმა. კვალიფიციური იურისტი კვირაში 3 დღე ემსახურება კათარზისის ბენეფიციარებს. მისი მოვალეობა ამ ეტაპზე ძირითადად საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება, ამასთან, ასწავლის მათ განცხადების შესაგებელის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს.

კაფე

კაფე „ჯული“ „კათარზისში“ ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია. ყოველდღიურად მას საშუალოდ 200-მდე ხანდაზმული სტუმრობს. მათთვის კაფე თავშეყრისა და დასვენების ის ადგილია, სადაც შეუძლიათ ესაუბრონ ერთმანეთს ფინჯან ჩაიზე, ყავაზე, მიირთვან ტკბილეული (ორცხობილა, ნამცხვარი, კანფეტი). აღნიშნონ დაბადების დღეები, სხვა დღესასწაულები, მოუსმინონ მუსიკას, მიიღონ სტუმრები. კაფე მუშაობს ყოველდღე, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში. კაფეს 2017 წლის განმავლობაში გაწეული აქვს 48500-მდე მომსახურება.

სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონში 2017 წელს აღრიცხულია 700-ზე მეტი მომსახურება.

ბიბლიოთეკა

„კათარზისის“ ბიბლიოთეკაში წიგნების მდიდარი ფონდია როგორც შინაარსით, ისე ოდენობით (5000-მდე ეგზემპლიარი). არის წიგნები ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, აგრეთვე, ადგილობრივი პრესა. აქვე მუშაობენ წრეები ინტერესების მიხედვით, რომლის ფარგლებშიც ხდება შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან; ბოლო ერთ წელიწადში 14 ასეთი ღონისძიება გაიმართა. აგრეთვე, ეწყობა ბენეფიციართა შემოქმედებითი საღამოები, მათი ავტორობით გამოცემული წიგნების პრეზენტაცია-განხილვები. 2017 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკამ 5600 მომსახურება გაწია.

გარდერობი

2017 წლის ოქტომბრიდან „კათარზისში“ მოეწყო გარდერობი (ბიუჯეტი 17200 ლ.). ბენეფიციარებს და ორგანიზაციის სტუმრებს მთელი დღის განმავლობაში შეუძლიათ შეინახონ ტანსაცმელი, ჩანთები და ნებისმიერი ნივთი, რომელიც მათ ხელს შეუშლის შენობაში გადაადგილებაში. გარდერობი გათვლილია 200-მდე ბენეფიციარის ერთდროულ მომსახურებაზე. სამი თვის განმავლობაში გაწეულია 1595 მომსახურება.

ექიმი

საექიმო კაბინეტი და უფასო აფთიაქი ემსახურება ყველა ბენეფიციარს, ვინც სარგებლობს „კათარზისის“ მომსახურებით, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს. აქ ხორციელდება პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა. რთული შემთხვევების დროს ექიმი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას იძახებს და ხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია. გასულ წელს საექიმო კაბინეტის მიერ გაწეულმა მომსახურებამ 5485 შეადგინა. აგრეთვე, პერიოდულად ტარდება სამედიცინო საქველმოქმედო აქციები, რომლის ფარგლებში სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა ბრიგადები ადგილზე უწევენ ბენეფიციარებს სამედიცინო კონსულტაციებს.

თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ სახელოვნებო კოლექტივები.

კინოდარბაზი

2017 წლის ოქტომბრიდან „კათარზისის“ უფასო სამსახურების რიცხვს კინოდარბაზი შეემატა. კინოდარბაზი 30 ადამიანზეა გათვლილი. ის ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის. მოხუცების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება ან ტელევიზორი არა აქვს სახლში. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ყოველდღიურ პროცესებს, ნახონ მათთვის საინტერესო ტელეგადაცემები, აგრეთვე, დაესწრონ სპეციალურ სეანსებს, სადაც ფილმები და გასართობი პროგრამები მათი სურვილითაა შერჩეული.

ინტერნეტ-კაფე

ამ სამსახურს თავისი მუდმივი მომხმარებელი ჰყავს. აქ ბენეფიციარს შეუძლია შეისწავლოს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისარგებლოს ინტერნეტ-სივრცით, დაუკავშირდეს ნაცნობ ადამიანებს, გაერთოს თამაშებით. 2017 წელს ამ სამსახურმა დაახლოებით 100-მდე ბენეფიციარს გაუხსნა ახალი შესაძლებლობების ფანჯარა.

თეატრალური დარბაზი

„კათარზისის“ ხანდაზმულთა გუნდში, საესტრადო თუ სხვა ჯგუფებში უკვე შემდგარი თუ დაფარული ტალანტების გამოვლენა ხდება. აქ სისტემატიურად ეწყობა თეატრალური დასისა და საკონცერტო ჯგუფების როგორც შიდა, ისე გასვლითი ღონისძიებები. ხანდაზმულება მაყურებელს შესთავაზეს დედის დღისადმი, 9 მაისისადმი, აღდგომის დღესასწაულისადმი, თბილისობისადმი მიძღვნილი, საახალწლო ღონისძიებები; ჩვენს ბენეფიციარებს ხშირად იწვევდნენ სპექტაკლებზე ახმეტელის, მარჯანიშვილის, რუსთაველის თეატრები, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრი.

სამლოცველო

წმ. ნინოს სახელობის სამლოცველო, ისე როგორც თავის დროზე „კათარზისი“ გაიხსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. აქ დაცულია მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა კანონიკური ნორმა. აქ რეგულარულად აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისები, ნათლობისა და საპანაშვიდე რიტუალები, დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ტარდება ლოცვა. სანთელი სუფთა ცვილისაგან „კათრაზისის“ სასანთლეში მზადდება.

ტანსაცმლის შეკეთების სამსახური

სამსახური ორიენტირებულია მარტივ ოპერაციებზე: ღილების დაკერება, ელვა შესაკრავის შეცვლა, სამოსის დაგრძელება-დამოკლება, დაზიანებული ადგილების შეკეთება. 2017 წლის განმავლობაში 1000-მდე მომსახურებაა გაწეული. აქვე ნებისმიერ ბენეფიციარს შეუძლია შეარჩიოს და მოირგოს მისთვის სასურველი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან ნივთი. 2017 წლის განმავლობაში გაწეულია 1600-მდე მომსახურება.

ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ უკვე წლებია, იმ ხანდაზმულებისათვის, ვისაც საცხოვრებელი გარემო და პირობები შესაძლებლობას არ აძლევს დაიცვას ჰიგიენური ნორმები, ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს ქალაქის ორ აბანოსთან („მეჯუდა“ და „ნარიყალა“), რომლებიც ემსახურებიან ჩვენს ხანდაზმულებს. 2017 წლის განმავლობაში ბენეფიციარებს გაეწია 2368 მომსახურეობა.

დასვენება-გართობის სივრცეები

ყოველწლიურად იზრდება „კათარზისის“ შენობის ჰოლების დატვირთვა. 2017 წლისათვის მაქსიმალურად დაიტვირთა სამივე სართულის ჰოლი და ჩამოყალიბდა ბენეფიციართა დასვენება – გართობის სივრცე. ეს ადგილები მუდმივად დაკავებულია სამაგიდე თამაშების მოყვარულებით. განსაკუთრებით პოპულარულია: ლოტო, ნარდი, ჭადრაკი, დომინო, კარტი. იმართება შიდა ტურნირები ნარდსა და ჭადრაკში. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდოები და გარდამავალი თასი.

რიტუალური სამსახური

„კათარზისს“ მუხათგვერდის სასაფლაოს ტერიტორიაზე აქვს 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სადაც მიუსაფარი ხანდაზმულები იკრძალებიან. 2017 წელს დამზადდა და თითოეული გარდაცვლილის საფლავზე დაიდგა გრანიტის ქვა გარდაცვლილის ვინაობისა და თარიღების მითითებით. ამავე წელს შემოიღობა სასაფლაოს მთელი ტერიტორია და მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად დაირგა 200 ძირი კიპარისი და შპს „ახალი ბაღის“ მიერ შემოწირული 150 ძირი ბუჩქოვანი ვაშლის ხე.

მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. 2017 წელს მწოლიარე ხანდაზმულებს 202 ჯერ გაეწია მომსახურება. ბენეფიციარის დროებითი ავადმყოფობის შემთხვევაში ცხელ სადილს ყოველდღიურად ვაწვდიდით ბინაზე მოხალისეების ან სათნოების ძმების ძალები თ.

„სადილი ყველას“

გრძელდება პროექტი „სადილი ყველას“. პროექტის მიზანია ყველა იმ ადამიანის დაპურება, ვინც გამოცხადებულ დღეს ჩვენს ორგანიზაციას ეწვევა: ხანდაზმულები, დევნილები, მრავალშვილიანები, ე.წ. ქუჩის ბავშვები, ყველა მსურველი. ღონისძიებამდე 5–6 დღით ადრე თბილისის ქუჩებში იკვრება 10 ორმხრივი საგზაო ტრანსპარანტი წარწერით „სადილი ყველას“, რაც სოციალურად დაუცველი თბილისელებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი, ხოლო ტელეეთერით, როგორც წესი, გადის სოციალური ვიდეორგოლი. 2017 წელს განხორციელდა 9 ასეთი ღონისძიება.

საქართველო
შ.პ.ს „მ&მ აუდიტი“
M&M AUDIT
GEORGIA
``M&M AUDIT``Co LTD
ADDRESS: NUTSUBIDZE SLOP 3 QUARTER 1 B.15 AP. 44
TEL/FAX: +995 32 2 95 68 37
MOB: +995 99 536413 E-MAIL: mail@mdmaudit.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საერთაშორისო ქველმოქმედი ორგანიზაციის კათარზისის მფლობელებს და მენეჯმენტს

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სსკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგება, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშგება“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (“IFRS”) შესაბამისად.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა მოდიფიცირებული დასკვნის საფუძვლებში ჩამოთვლილი შესაძლო მიზეზებისა, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სსკ კათარზისის ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად(IFRS).

მოდიფიცირებული დასკვნის საფუძვლები

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IASs) შესაბამისად. ამ სტანდარტების შესაბამისად ჩვენი პასუხისმგებლობები შემდგომში აღწერილია *აუდიტის პასუხისმგებლობები ჩვენი ანგარიშის განყოფილებაში ფინანსური მდგომარეობის აუდიტისათვის*. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელნი ვართ ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს *ეთიკის კოდექსის თანხმად პროფესიონალი ბუღალტრებისათვის* (IESBA Code), და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ გვჯერა, რომ აუდიტორული მტკიცებები, რომელიც ჩვენ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისია, რათა საფუძვლად დაედოს ჩვენს მოსაზრებებს.

1. კომპანიის მიერ ადრე შემოსავლის წარმოადგენს შემოწირულობები როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისგან. შემოწირულობა შეიძლება იყოს ფულადი ან არაფულადი სახის. აქედან გამომდინარე კომპანიას ხშირად გადაეცემა ნივთები უსასყიდლოდ. 2016 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის ჩატარების დროს ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ნაჩუქარი ნივთების კერძოდ ფეხსაცმელი ნაწარმის (ნახმარების) საბაზრო ღირებულების დადგენა. გამომდინარე აქედან ჩვენ არ შეგვეძლო დაგვედგინა საჭიროებს თუ არა ეს მონაცემი რაიმე სახის მნიშვნელოვან კორექტირებას.

მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ამასთან პარაგრაფი

ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დოკუმენტი ნახაზების ღირებულების დასადასტურებლად და ეს ფეხსაცმელი ნამეტნავება ორგანიზაციის აქტივებში არ არის ასახული. კომპანიის მოღვაწეობის განმავლობაში არცერთხელ არ მომხდარა მსგავსი ტიპის შემოწირულობების საბაზრო ფასის დადგენა. ხელოვნების პიმეტების რაოდენობა უტოლდება 30-ს და ზოგი მათგანი შესრულებულია 70 იან წლებში.

ჩვენი მოსაზრება ამ გარემოების გამო არის მოდიფიცირებული.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე IFRS -ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისადებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოყვანილია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ცალკეულად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით. როგორც ISA-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით. ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების გაყალბების ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და ვაგროვებთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და

2

შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო განგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისასს ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძვლის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არაადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.
- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანების ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობებთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააზარალოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობებთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებებს.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

შპს მ&მ აუდიტი-ს სახელით.

თბილისი, საქართველო
24 მარტი, 2018

M&M AUDIT
GEORGIA "M&M AUDIT" LTD
205215934

3

„წლის ბებია-ბაბუა – 2017“

2017 წლის 5 იანვარს, ჩატარდა ხანდაზმულთა ტრადიციული საშობაო წარმოდგენა-კონკურსი წლის „ბებიას“ და „ბაბუას“ წოდებების მოსაპოვებლად. ხანდაზმულები, რომლებმაც გაიარეს შესარჩევი ტური, ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცეკვასა და სიმღერაში.

ცნობილი სახეებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები; წლის „ბებია-2017“ გახდა ვარდო თოდრია (89 წლის, ჩოხატაურიდან), ხოლო „ბაბუა-2017“ – იოსებ ხუცურაული (88 წლის, „კათარზისიდან“- თბილისი). კონკურსში გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები. პროექტის გენერალური სპონსორია ს.ს. თელასი. გარდა ამისა, ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია ფულადი ან სხვა პრიზების დაწესება ნომინაციების მიხედვით ან საკუთარი სურვილების შესაბამისად.

„დახმარება აღმოსავლეთ ევროპას“

2017 წლის სექტემბერში, „კათარზისმა“ განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში ბრიტანულმა ორგანიზაციამ „დახმარება აღმოსავლეთ ევროპას“ საჩუქრად გადმოგვცა რეანიმობილი. ამ ორგანიზაციის სამ წარმომადგენელს სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა „კათარზისი“. ამასთან, ავტომობილში განთავსებული იყო სპეციფიური სამედიცინო ინვენტარი და ბავშვების ტანსაცმელი. რომელიც საჭიროების გათვალისწინებით გადავეცით სამედიცინო დაწესებულებას – „სიცოცხლის ხე“ და თბილისის SOS ბავშვთა სოფელს.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისთვის იჯარით გაცემული გვაქვს 147 კვმ ფართი, რომლიდანაც წლიურმა შემოსავალმა შეადგინა – 63149,24 ლარი.

პ.ს. 2017 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში“ (28.03.2018 წ.).

ასოციაციის პრეზიდენტი
ზაურ ალადაშვილი

®

ყავა და შოკოლადი

ვაგრძელებთ საუბარს ამერიკის ფარმაკოგნოზიის საზოგადოებისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრთან, პროფესორ რამაზ გახოკიძესთან. ამჯერად, ბატონი რამაზი „საერთო გაზეთის“ მკითხველს შოკოლადის სამკურნალო თვისებებზე მოუთხრობს. ასევე, გავიგებთ რა სასარგებლო და მავნე თვისებები აქვს ყავას:

მუქი შოკოლადი – მოციმციმე არითმიის რისისგან და თრომბის წარმოქმნისგან დაგიცავთ!

შოკოლადი დიდი რაოდენობით შეიცავს კოფეინს, თეობრომინს და ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ორგანიზმს სტრესთან და გარემოს გაბინძურებასთან საბრძოლველად ეხმარება, დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე, უხდება ხველებას, აფერხებს კიბოს განვითარებას. შოკოლადი შეიცავს ფენილეთილამინს, რომელიც ბუნებრივი ანტიდეპრესანტია, ასევე, კრიპტოფანს, რომელიც იწვევს ტვინში სეროტონინის – „ბედნიერების ჰორმონის“ გამომუშავებას, რაც ამაღლებს გუნება-განწყობილებას და ლიბიდოს. ეს ნივთიერებები ორგანიზმში ბუნებრივადაც გამოიყოფა, როცა ადამიანი ბედნიერი ან შეყვარებულია. შოკოლადის სახეობებიდან ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა მუქი ანუ მწარე შოკოლადი.

შოკოლადი ასევე, ხელს უწყობს ორგანიზმში აზოტის ოქსიდის გამომუშავებას, რომელიც სისხლძარღვთა გაფართოებას იწვევს და შესაბამისად, არტერიული წნევის შემცირებას. შოკოლადის რეგულარულად მიღება 40%-მდე ამცირებს გულის დაავადებათა რისკს. არსებობს მონაცემები, რომ შოკოლადი მოციმციმე არითმიის რისკსაც ამცირებს. მუქი შოკოლადი ასევე, დიაბეტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალებაა. მუქ შოკოლადს დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვს, არ იწვევს სისხლში შაქრის დონის მატებას და ხელს უწყობს სისხლში შაქრის უკეთ შეთვისებას. მუქი შოკოლადის მიღება დიაბეტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური საშუალებაა. შოკოლადი ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. მუქ შოკოლადში შემავალი ფლავონოიდები აფართოებს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ტვინის ძირითადი უბნების სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას. ეს კი, თავის მხრივ, ასტიმულირებს ტვინის მუშაობას, ამაღლებს ყურადღებას და კონცენტრაციის უნარს. მუქი შოკოლადი ასევე, აუმჯობესებს ტვინის მუშაობას ძილის უკმარისობის დროს.

გსურთ სიცოცხლის გახანგრძლივება? მიირთვით შოკოლადი

შოკოლადი ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას და აფერხებს სიბერის ჭკუასუსტობას. მას ზომიერად თუ მიირთმევთ, წონის დაკლებაშიც დაგეხმარებათ. მუქი შოკოლადი დიდი ხნით აცხრობს სიტკბოსადმი მიდრეკილებას და საკვების მიღების სურვილს. შიმშილის მოსაკლავად საკმარისია 10გრ მუქი შოკოლადის მიღება. ჰელსინკის უნივერსიტეტში დაადგინეს, რომ ფეხმძიმე ქალებს, რომლებიც რეგულარულად იღებენ შოკოლადს, ჯანმრთელი ბავშვები უჩნდებათ. მუქმა შოკოლადმა შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ორგანიზმს მისი ჭარბი რაოდენობით მიღების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სიმსუქნე და შაქრიანი დიაბეტიც კი. მუქმა შოკოლადმა ასევე, შეიძლება გამოიწვიოს ალერგია. მისი მიღება არ შეიძლება სამ წლამდე ბავშვებისთვის.

რა საფრთხეს შეიცავს შოკოლადში შემავალი ტოქსიკური ნივთიერება ბენზპირენი?

ბენზპირენი წარმოიქმნება ნავთობის, ნახშირის, ნაგვის დაწვისას, შედის ძრავების გამონაბოლქვ გაზებში, თამბაქოს ბოლში, ჭვარტლში. არაკეთილსინდისიერი მეწარმეები ხშირად მუქ შოკოლადს ე.წ. კაკაოველას – კაკაოს პარკების გადამუშავების ნარჩენს, ჩენჩოს უმატებენ, რასაც ეტიკეტზე არ უთითებენ. ეს კი შოკოლადის ხარისხს აქვეითებს. ჩენჩოსთან ერთად შოკოლადი შეიძლება შეიცავდეს ნიადაგიდან მოხვედრილ ტოქსიკურ მძიმე მეტალებს – ტყვიას და კადმიუმს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში გროვდება და აზიანებს ნერვულ სისტემას, სისხლის უჯრედებს, ძვლებს და შინაგან ორგანოებს.

– ბატონო რამაზ, შოკოლადთან ყავა განუყოფელი ატრიბუტია. მის სარგებლიანობაზე რას იტყვით?

– ყავის ყველაზე აქტიურ კომპონენტს კოფეინი წარმოადგენს, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულატორია. სწორედ მასთან არის დაკავშირებული ყავის სარგებლობაც და ზიანიც. ინგლისელი მედიკოსების აზრით, კოფეინი ადამიანისთვის აუცილებელია. იგი ხსნის კუნთების ტკივილს. რაციონიდან კოფეინის შემცველი პროდუქტების (ყავა, ჩაი, შოკოლადი) გამორიცხვით იზრდება თავის ტკივილისა და ნევროზების ალბათობა. ადამიანმა შეიძლება მიიღოს კოფეინის ის რაოდენობა, რომელსაც შეიცავს ორი ფინჯანი ყავა, სამი ფინჯანი ჩაი ან ნახევარი ფილა შავი შოკოლადი. ყავის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ინდივიდუალურია და მის თავისებურებაზეა დამოკიდებული. კოფეინის დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოზები, ეპილეფსია, არამოტივირებული აგრესია. ყავაში შემავალი ნივთიერებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პოლიფენოლები, რომელთაც ანტიოქსიდანტური მოქმედების გამო ანთებისა და კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი ახასიათებს. ანტიოქსიდანტების შესანარჩუნებლად ყავა არ უნდა მიიყვანოთ ადუღებამდე.

ყავა ასტიმულირებს შემომედებით აზროვნებას, აუმჯობესებს შრომისუნარიანობას, დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ამაღლებს გამძლეობას სტრესებისა და დეპრესიის მიმართ. ყავის მოხმარება, ასევე, ხელს უწყობს მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის პროფილაქტიკას. ყოველდღიურად ორი ფინჯანი ყავის მიღებით მცირდება კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოსა და ღვიძლის ალკოჰოლური ცეროზის განვითარების რისკი. ცნობილია, რომ მწეველებში საშარდე ბუშტის კიბოს რისკი 7-ჯერ იზრდება, ხოლო ყავის აქტიურ მომხმარებლებში ეს რისკი 43%-ით მცირდება. ყავის მოხმარება აფერხებს პარკინსონის დაავადების განვითარებასაც. ყავა ისეთი დაავადებების პროფილაქტიკის საშუალებას წარმოადგენს როგორებიცაა: შაკიკი, ჰიპერტონია, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, ასთმა, ათეროსკლეროზი, ინფარქტი. კოფეინის გავლენით ფართოვდება თავის ტვინისა და გულის სისხლძარღვები, რაც ინსულტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების პროფილაქტიკაა. ყავა ეფეტური საშუალებაა მამაკაცთა რეპროდუქციული ფუნქციის გასაუმჯობესებლად. იგი ზრდის სპერმატოზოიდების აქტიურობას. ყავაში შემავალი ნივთიერებები აძლიერებს კუჭის სეკრეციას – ამაღლებს კუჭის წვენის მჟავიანობას. ეს თვისება სასარგებლოა მათთვის, ვისაც აწუხებს გასტრიტი დაბალი მჟავიანობით. ყავა ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. ყავა ზრდის ანტიბიოტიკების ეფექტიანობას, იცავს ნიკრისის ქარისგან. იგი გვეხმარება გახდომაშიც. დიეტის დაცვის დროს ყავა ხელს უწყობს ორგანიზმს ენერგიის მისაღებად მხოლოდ ცხიმები გამოიყენოს. უშაქრო ყავა დარიჩინთან ერთად საუკეთესო საშუალებაა წონის დასაკლებად. ყავა ანტიოქსიდანტების შემცველობის გამო ხელს უწყობს ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას.

– ბატონო რამაზ, რომელი ყავა უფრო უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის მარცვლოვანი თუ ხსნადი?

– თავის დაზღვევის მიზნით უპირატესობა მიანიჭეთ მარცვლოვან ყავას, ვიდრე ხსნადს, რითაც შეგიძლიათ აიცილოთ სხვადასხვა არომატული დანამატის ზემოქმედება.

– ბატონო რამაზ, ისევე როგორც შოკოლადი, ალბათ, არც ყავა არ არის დაზღვეული ფალსიფიცირებისგან. როგორ გავარჩიოთ ნატურალური ყავა ნაყალბევისგან?

– შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას: პირველ რიგში, ყურადღება მიაქციეთ ყავის სპეციფიკურ სუნს; რამდენიმე მარცვალი ჩაყარეთ ცივ წყალში და მოურიეთ. ნატურალური ყავა ოდნავ გაიბერება და წყალი შეიფერება, ფალსიფიცირებული კი ფსკერზე ნალექს წარმოქმნის; მარცვალი შუაზე გაჭერით. ნატურალური ყავის შემთხვევაში გადანაჭერზე ნათლად შეიმჩნევა ყავის მსხვილი გარსი და ბირთვი; ცივ წყალში ჩაყარეთ ერთი კოვზი დაფქული ყავა. ვარდაჭკაჭას შემცველოვის შემთხვევაში წყალი ყავისფრად შეიღებება და მწარე გახდება; თიხის აღმოსაჩენად ყავის მარცვალი მოათავსეთ სანაყში და ქვასანაყით დაამტვრიეთ. ნატურალური ყავა წვრილ ნამტვრევებად დაიმსხვრევა, თიხის შემცველი კი ფხვნილად დაიშლება; დაყენებულ ყავაში ჩააწვეთეთ იოდის ერთი-ორი წვეთი. ხსნარი ლურჯად თუ შეიღებება, ე.ი. იგი სახამებელიან და ფქვილოვან მარცვლებს შეიცავს; ყავის მარცვლები მოათავსეთ ქაღალდის ხელსახოცში და გასრისეთ. ხელსახოცს ჭუჭყიანი კვალი თუ დაეჩნდება, ყავა შეღებილია ტყვიის საღებავებით, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნეა; ხსნადი ყავა სწრაფად უნდა გაიხსნას. თუ რამდენიმე წუთი ურევთ მუქ კოშტებს, იცოდეთ, ეს არ არის ყავა; მაღალხარისხიანი ყავა დიდხანს არ ინახება. მისი შენახვა შესაძლებელია მაქსიმუმ 18 თვე.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge